საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 3 დეკემბერი, 2014 წელი.

№244 (7624)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიანებით ბეჭითის გაფანა ყველა ეკალრისობაზე უსაძაგლესია.

„ეს მოდელი ის მაქსიმუმია, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ შესაძლებელია“!

- აფხაზთა „დასარწმუნებლად და მოსარჯულებლად“ რუსეთს არაერთი ბერკეტი აქვს, მაგალითად ის, რომ რუსები დააყენებენ აფხაზებს არჩევანის წინაშე, – ან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლა, ან კიდევ „ერთი-ერთზე დარჩენა საქართველოსთან“!

4

- რუსეთი ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნებაზე არასოდეს დათანხმდება, რადგანაც ყირიმს რუსეთი მიიჩნევს თავის ისტორიულ რეგიონად, ხოლო, აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით რუსეთს ასეთი დამოკიდებულება არა აქვს, ამიტომ აქ დიალოგზე წამომსვლელია.

არ იცი? გასწავლით! არ გინდა? გაიძულებთ!

5

ზაალ ანჯაფარიძე:

უნდა ვისაუბროთ არა მხოლოდ მოსმენებზე, არამედ შსს-ს და პროკურატურის ღრმა რეფორმირებაზე

3



„ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისთვის ეს დროებითი განსაცდელია“



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის გაფორმებულ ე.წ. ხელშეკრულებაზე განცხადებას ავრცელებს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

„რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასთან (და მომავალში, ალბათ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მმართველ ძალასთანაც) ხელშეკრულების გაფორმებით საქართველო-რუსეთს შორის არსებულ ისედაც რთულ პოლიტიკურ სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს და ერთმანეთისაგან აშორებს ორ მოძმე მართლმადიდებელ ხალხს. მინდა საზოგადოების ყურადღება ორ მომენტზე შევაჩერო:

ამ ხელშეკრულებით უგულებელყოფილ იქნა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნება ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობისა. ყველამ იცის, რომ ჩვენს შემთხვევაში, ამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი 20 წელზე მეტია იძულებით არის გადაადგილებული და, ბუნებრივია, მონაწილეობას ვერ იღებდა ტერიტორიის ბედის განსაზღვრაში.

უკვე მერამდენედ აღვნიშნავთ იმასაც, რომ კარგა ხანია, არ გვეძლევა საშუალება აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს ეკლესიის მრევლის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, რაც, ასევე, საერთაშორისო კანონების დარღვევაა და სხვა.

რა თქმა უნდა, მომხდარი ფრიად სამწუხარო რეალობაა, რომელსაც ჩვენ, ვერასოდეს შევეგუებით. მე ადრეც ვამბობდი და კვლავაც გავიმეორებ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისათვის ეს დროებითი განსაცდელია.

საქართველო აფხაზებთან და ოსებთან ძმურ ურთიერთობას ადრე თუ გვიან აღადგენს და აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან სიმართლე და სამართლიანობა აუცილებლად იზეიმებს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ეს ის მოსამართლეები არიან, რომლებმაც საზოგადოებას თავი უსამართლო განაჩენებით დაამახსოვრეს. თუმცა, ამის მიუხედავად, მოსამართლეობის ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც, ხელახლა აპირებენ, მოსამართლეებად მოგვევლინონ.

5

მოსამართლის თუ განსასჯელის სკამი?

„შეიარაღებული ჯგუფი ჩრდილოეთ კავკასიიდან არ შემოსულა“

7

ლეონიდ ყოჩის ექო

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა დემოკრატიის კარგი მაგალითია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისთვის დეპუტატებს მადლობას უხდის. ამასთან დაკავშირებით პრემიერმა განცხადება მთავრობის გუშინდელ სხდომაზე გააკეთა.

„საქართველოს პარლამენტარიზმის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ჩვენ ვნახეთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ დაძლია პრეზიდენტის ვეტო. მინდა, მადლობა გადავუხადო დეპუტატებს. მართლაც, ძალიან კარგი დემონსტრირება იყო იმის, რომ დღეს საქართველოში არის დემოკრატია. ეს ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა. მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო ამაში საპარლამენტო უმრავლესობის ძალიან დიდი წვლილიც. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს პოლიტიკაში და მინდა, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადავუხადო საპარლამენტო უმრავლესობას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციების საბიუჯეტო დაფინანსება იზრდება

დაფინანსების ზრდა 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტშია ასახულია, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებულია დამატებით 800 ათასი ლარი, ჯამში — სულ 9 მილიონ 800 ათასი.

2015 წლისათვის გაცილებით მეტი ოდენობით იზრდება მთავრობის ადმინისტრაციის ბიუჯეტი, რაც 2015 წლის ბიუჯეტის პროექტში თავიდანვე აისახა. კერძოდ, 2014 წლისათვის მთავრობის ადმინისტრაციის ასიგნება 20 მილიონ ლარს წარმოადგენდა, 2015 წლის საბიუჯეტო პროექტით კი, გათვალისწინებულია 32 მილიონ 500 ათასი ლარი. იზრდება მთავრობის ადმინისტრაციაში მომუშავეთა რიცხოვნობაც.

აღნიშნულ ზრდას ფინანსთა სამინისტრო მთავრობის ადმინისტრაციის ფარგლებში ეკონომიკური საბჭოსა და კრიზისების მართვის საბჭოს შექმნით ხსნის.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტი პარლამენტშია. მისი დამტკიცების თარიღი გადაწყვეტილი არ არის, თუმცა, როგორც ცნობილია, დეკემბრის მესამე პარასკევი ბოლო დღეა, როცა ქვეყნის მომავალი წლის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მიღება უნდა მოხდეს.

ალექსანდრე ჭიკაიძე სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა

სომხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ სერჟ სარგსიანთან შეხვედრა გამართა.

შსს-ს ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის სამართალდამცავ სფეროში ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს.

საქართველოს შს მინისტრი სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ვლადიმერ გასპარიანსაც შეხვდა.

ვლადიმერ გასპარიანმა ალექსანდრე ჭიკაიძეს სომხეთსა და საქართველოს შორის პოლიციის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის მედალი გადასცა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის დირექტორ გორიკ აკოპიანს. შეხვედრებზე საუბარი შეეხო ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს და სამომავლო გეგმებს.

რუსეთთან დიალოგის არხებზე უარს არ ვამბობთ

როგორც ყველა ქვეყანა მსოფლიოში, ასევე საქართველოც, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაში ერთადერთ გზად დიალოგს განიხილავს, — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადებების კომენტირებისას აღნიშნა. მისი თქმით, დიალოგის არხებზე საქართველო უარს არ ამბობს.

„საკომუნიკაციო არხები არსებობს. ეს ზურაბ აბაშიძემაც განაცხადა. რაც შეეხება შეხვედრას, კონკრეტულ თემებზე დისკუსიას, დღის წესრიგს აბაშიძე-კარასინის დიალოგში, დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ამაზე საუბარი არ არის. შესაბამისად, მე ამას კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ დიალოგის არხებს ვინარჩუნებთ“, — განაცხადა ბერუჩაშვილმა.

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ნორმალიზებაში პაუზა არ არის. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა განუცხადა.

„ურთიერთობების ნორმალიზებაში პაუზა არ არსებობს. არსებობს პერიოდი, როდესაც უნდა იფიქრო, როგორ იმოქმედო მომავალში, გაიაზრო ყველაფერი. სიტყვა „პაუზა“ მე არ მომწონს. ნორმალიზება იმ სფეროებში გაგრძელდება, რომელშიც შესაძლებელია. საქართველოს წარმომადგენლებთან ერთად ვფიქრობთ იმაზე, როგორ ავაწყოთ მომავალი მუშაობა“, — განაცხადა კარასინმა.

მარგველაშვილს კიდევ ერთი უფლება ჩამოერთვა

პრეზიდენტის ნაცვლად მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლებამოსილების საკითხს საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს. ამის შესახებ ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57-ე დადგენილებაში შეიდის. საკითხი მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გაიტანა.

გარდა ამისა, თბილისის მერმა მინისტრთა კაბინეტს კიდევ ერთი საკითხი წარუდგინა, რომელიც „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ მთავრობის დადგენილებაში ცვლილებებს ითვალისწინებს.

„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებშია მუნიციპალური ტრანსპორტის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები და დასუფთავება, ვინაიდან თბილისის მუნიციპალიტეტი ადგენს შესაბამის ტარიფებს. მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა ზოგადად ჩამონათვალი, ხოლო ტარიფები დადგენილი იქნება უშუალოდ ჩვენს მიერ. ეს ცვლილება გამოწვეული იყო „კონკურენციის შესახებ“ კანონში გამოწვეული ცვლილებით, რომ მთავრობის დადგენილება ამ წესთან შესაბამისობაში ყოფილიყო. ტარიფები არ იცვლება. მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილება განხორციელდა“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

◎ თანაბარი ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველის აპარატს უფლებამოსილება ეზრდება

როგორია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები რეგიონებში?

დღეს მთელ მსოფლიოში აღინიშნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღე. უკვე წლებია, აქტიური მუშაობას ეწევიან არასამთავრობო ორგანიზაციები ასეთი ადამიანების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ხელისუფლება თითქმის ყველა საერთაშორისო კონვენციის ხელმომწერია, თუმცა, პრობლემები არის, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონებში, ხოლო ეთნიკური და ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ უბნებში მდგომარეობა სავალალოა.

ამის შესახებ ანგარიში სახალხო დამცველის აპარატმა წარმოადგინა, რომელიც მომზადდა 2014 წლის ნოემბერში ჩატარებული კვლევების ანალიზის საფუძველზე, და რომელიც გაეროს განვითარების პროგრამამ დააფინანსა. შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის ნათია ფირაშვილის თქმით, 2015 წლიდან სახალხო დამცველის აპარატს ამ მიმართულებით უფლებამოსილება ეზრდება და სრულიად სხვა ფორმით იწყებს მუშაობას. **„2012 წელს ჩვენს ოფისში შშმ პირთა მიერ სულ 39 განცხადება იყო შემოსული, 2013 წელს — 140, ხოლო მიმდინარე წელს — 243. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ინფორმირებულობის ხარისხი მეტია, მაგრამ ამავე დროს არის პრობლემებიც. ჩვენ არაერთი ანგარიში და რეკომენდაცია მოვამზადეთ ამ ორი წლის განმავლობაში, მაგალითად, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებულ პირობებზე, პატიმართა უფლებებზე, გაეროს კონვენციის 27-28 მუხლების დარღვევებზე, ქალთა უფლებებზე და ა. შ. სადაც უშუალოდ შეზღუდული უნარის მქონე პირთა პრობლემებზე გვქონდა საუბარი. ეტაპობრივად ვცდილობთ, მონიტორინგი გავუწიოთ და ვითარებაც გამოვასწოროთ“.**

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურება:

უფასო გამოკვლევები, რომელიც საჭიროა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად. გამონაკლისი: მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები.

შეზღუდული შესაძლებოლობის მქონე პირს შეუძლია უფასოდ მიიღოს ყველა სახის სამედიცინო ცნობა, დასკვნა, რეცეპტი.

გამონაკლისი: სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, ავტომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობები.

სახალხო დამცველის აპარატისა და UNDP-ის ერთობლივი კვლევები ჩატარდა ბოლნისში, მარნეულში, ახალქალაქში, იორმუღანლოში, კაბალში, ჯოყოლოსა და დუისში. ფოკუს ჯგუფების შედეგები გაეროს განვითარების პროგრამის კონსულტანტმა — **ირინა ობოლაძემ** წარმოადგინა: **„რაც უპირველეს პრობლემად გამოიკვეთა — ესაა საზოგადოების დაბალი ცნობიერება რეგიონებში. ჯერ კიდევ მუშაობს გარკვეული სტერეოტიპები. ადამიანებს არა აქვთ ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ და იმ მინიმალური სერვისითაც ვერ სარგებლობენ, რაც მათ ოფიციალურად ეკუთვნით. დაწესებულებაც კი არ იციან, ვის უნდა მიმართონ, რა როგორ მოითხოვონ.**

როცა პრობლემებზე არის საუბარი, ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით ფინანსებს, რადგან როგორც წესი, ფული არასოდეს საკმარისი არ არის ხოლმე. რეგიონებში დღის ცენტრები რომ არ ფუნქციონირებს, ეს ნაკლებად გასაკვირია, ვინაიდან დედაქალაქშიც ამის გამო ჩივიან. შინ სწავლის პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებს უწევთ ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლა, თუმცა, ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე, ბუნებრივია, ასეთ დროს, მოტივაცია ნაკლებია.

„ძალიან მტკივნეული საკითხია ენობრივი ბარიერი, კომუნიკაცია ერთადერთი, ვისაც ეკონტაქტებიან, არის მუნიციპალიტეტი და სოფლის ექიმი, თუმცა, ამათმაც კი ბევრი არაფერი იციან შშმ პირთა უფლებების შესახებ“.

უჭირთ, — ამბობს ქალბატონი ირინა, — მოსახლეობამ კი არა, მუნიციპალიტეტში დასაქმებულებმაც არ იციან ქართული. როცა კვლევებს ვატარებდით, გვიწევდა თარჯიმანის გამოყენება, რადგან არათუ ქართულად, რუსულადაც ვერ მეტყველებენ. ქალთა ჩართულობა ნაკლებია (ასე მითხრეს, ქალბატონები საოჯახო საქმეებით არიან დაკავებულიო). მაგალითად, ისე ცხოვრობენ 20-24 წლის გონებრივი შეზღუდულობის მქონე ადამიანები, რომ სტატუსი არა აქვთ. შესაბამისად, არც ფინანსურ დახმარებას იღებენ, არც მედიკამენტებს, არც სამედიცინო სერვისს. ადგილებზე არ არის სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ბიურო, ხოლო დიდ ქალაქებში ვერ მიდიან (მაგალითად, ბოლნისიდან რუსთავში უნდა ჩავიდნენ)“.

როგორც გამოიკვეთა, რეგიონებში საზოგადოების დაბალ ცნობიერებას ხელს უწყობს უნდობლობა, ინდეფერენტულობა — რომ ვთქვა, რა შეიცვლება, ვინ მიშველის. ამის მიუხედავად, სახელმწიფო პროგრამები მეტნაკლებად ითვალისწინებენ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის ინტერესებს. მაგალითად, მომავალი წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია, რომ სოციალური სტატუსის მიუხედავად, ყველა უნარშეზღუდული ბავშვი ისარგებლებს იმ პაკეტით, რაც აქამდე სოციალურად დაუცველებს ეკუთვნოდათ. და მართლაც, თუკი სოციალურად ორიენტირებულ ბიუჯეტს ვგეგმავთ, ყველასთვის უზრუნველყოფილი უნდა გახდეს თანაბარი ხელმისაწვდომობა.

თეა მოსია

„უნდა ვისაუბროთ არა მხოლოდ მოსმენებზე, არამედ შსს-ს და პროკურატურის ღრმა რეფორმირებაზე“



საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ დამოუკიდებელ ექსპერტს ზაალ ანჯაფარიძეს ესაუბრა.

— ბატონო ზაალ, მოსმენებთან დაკავშირებით პარლამენტის მიღებულ კანონზე, მასზე პრეზიდენტის მიერ დადებულმა ვეტომ, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნების გაუთვალისწინებლობამ და ამავე თემაზე ვეტოს მეორეჯერ დაძლევამ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა გააჩინა, როგორც პარლამენტის, ისე მთავრობისა და პრეზიდენტის მიმართ. თქვენ როგორ შეაფასებდით ბოლო დღეებში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებსა და მის შედეგებს?

— თუ საკითხს მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში განვიხილავთ, რაც ფარულ მოსმენებს უკავშირდებოდა, დავინახავთ, რომ მან სათავე დაუდო გარკვეულ პოლიტიკურ ძვრებს. აღმოჩნდა, რომ ინტერესების და გარკვეული პრაგმატული მოსაზრებებისა, ასევე მსოფლმხედველური და ღირებულებითი კუთხით შესაძლებელია, რომ „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“ და ნაცმოძრაობა სიტუაციური მოკავშირეები აღმოჩდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მათ ამ კანონპროექტთან დაკავშირებით გარკვეულწილად მონახეს საერთო. შესაძლოა, ეს არ აღმოჩნდეს მათ შორის თანამშრომლობის ერთჯერადი აქტი და მას შემდგომში გარკვეული გაგრძელებაც ჰქონდეს იქიდან გამომდინარე, რომ ასეთი სენსიტიური თემები კიდევ არაერთხელ შეიძლება წარმოიშვას, არ გამოვრიცხავ, რომ ასეთ შემთხვევაში პოლიტიკური ჯგუფები დაჯგუფდნენ იმის მიხედვით, თუ ვის რა ღირებულებები და მსოფლმხედველობა აქვს. გარდა ამისა, ამ პროცესმა დაადასტურა ის, რაზეც დიდი ხანია, საუბრობენ — კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ აუცილებლად მოხდებოდა განხეთქილება გამომდინარე იქიდან, რომ მასში გაერთიანებული არიან სხვადასხვა ღირებულებისა და მსოფლმხედველობის მატარებელი პოლიტიკური ძალები.

კანონპროექტი მოსმენების შესახებ აღმოჩნდა ის ლაკმუსის ქაღალდი, რომელმაც სერიოზულად შეარყია კოალიციის ერთიანობა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, თუ რა განცხადებები გაკეთდა ვეტოს დაძლევის შემდეგ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ბრძოლა არ დამთავრებულა და ამ კანონის ირგვლივ დაპირისპირება კიდევ გაგრძელდება.

გარდა ამისა, კანონი მოსმენების შესახებ პოლიტიკური კუთხით „ქარული ოცნებისათვის“ არამომგებიანი აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ იზოლაციაშიც კი აღმოჩნდა, ვინაიდან მის წინააღმდეგ ამხედრდნენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც მიიჩნევიან პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკურ ძალებად, არასამთავრობო სექტორის ის ნაწილი, რომელიც ჩვენი სამოქალაქო სექტორის ფლაგმანს წარმოადგენს. კანონპროექტის განხილვის ფონზე საინფორმაციო-პროპაგანდისტული კუთხით „ქართული ოცნება“ ისე წარმოჩინდა, თითქოს ამ ტიპის კანონის მხარდაჭერით იგი ეწინააღმდეგება საქართველოს ევროპულ ორიენტაციას.

ფაქტია, რომ მიღებული კანონი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება იმ პრაქტიკას, რაც მოსმენებთან დაკავშირებით ევროპაშია. ამან კი შეიძლება გავლენა მოხდინოს პოლიტიკურ ძალთა შემდგომ კონფიგურაციაზე. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ ქართული პოლიტიკური სპექტრის პოლარიზაცია სწორედაც რომ მსოფლმხედველობრივი და ღირებულებათა პრინციპების მიხედვით დაიწყოს. შესაძლოა, ეს პროცესი პოზიტიურიც იყოს.

— დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამ თემაზე ხმაურიანი განცხადებების მიუხედავად, არც მთავრობა, არც პარლამენტი და არც პრეზიდენტი არ აღმოჩდნენ მზად მოსმენებთან დაკავშირებულ დილემა-გამოწვევაზე დროისა და ვითარების შესაბამისად ეპასუხათ. როგორც დამკვირვებელთა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, მთავრობა იმიტომ, რომ გადაწყვიტა მოსმენების თემაზე განუსაზღვრელი ძალაუფლება კვლავ შსს-ს დარჩენოდა; პარლამენტმა იმიტომ, რომ ამ საკითხზე თავად ვერ მოძებნა საუკეთესო ოპტიმალური გამოსავალი, თუნდაც რომელიმე ევროპული გამოცდილება გაეზიარებინა; პრეზიდენტმა იმიტომ, რომ თუ მისი პროექტი ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის პროექტისაგან ბევრი არაფრით განსხვავდებოდა, გაუგებარი დარჩა, ვეტოს დადება რა საჭირო იყო. მეტიც, პრეზიდენტის წარმომადგენელმა პარლამენტში გიორგი კვერენჩხილაძემ ვერ დააკონკრეტა, თუ სად უნდა განთავსებულიყო მოსმენებთან დაკავშირებული სერვერები. თქვენი აზრით, რატომ არ აღმოჩნდა არც ერთი ინსტიტუტი მზად, მიეღო ისეთი ოპტიმალური გადაწყვეტილება, რომლის ამოქმედების შემთხვევაში ადამიანის უფლებებიც იქნებოდა ევროპულად დაცული და სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით საფრთხე არ შეექმნებოდა?

— შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესში ჩართული აღმოჩნდა პიროვნულ-ფსიქოლოგიური ფაქტორი. საერთოდ, როდესაც ხდება ორი საპირისპირო პოზიციის შეჯერების მცდელობა, ერთი მხარის შეურიგებელი პოზიცია მეორე მხარის პოზიციას შეურიგებლობის ჩარჩოებში აქცევს. ჩემი დაკვირვებით, ორივე მხარე ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ მეორე მხარეზე ძლიერია და თავისას გაიტანს. ასეთი სიტუაცია შეიქმნა იმის გამო, რომ არც ერთი მხარე არ აპირებდა დათმობას. ამიტომაც მოხდა შეურიგებელი პოზიციების შეჯახება და შესაბამისად გაიმარჯვა იმან, ვისაც მეტი ბერკეტები ჰქონდა.

ჩემი აზრით, შეცდომა იქნა დაშვებული მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა პირველად დაადო ვეტო შედარებით კარგ კანონპროექტს, რომელშიც ჩადებული იყო არასამთავრობოების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. შეცდომა მაშინ იქნა დაშვებული, როცა პრეზიდენტმა პარლამენტს ამ კანონპროექტის მიღება 1 დეკემბრამდე დაავალა. ეს არარეალურად მოკლე ვადა გახლდათ. ამ ვადაში ვერ მომზადდებოდა კარგი და გამართული კანონპროექტი. შესაბამისად, ხელისუფლებამაც გამოიყენა მისი უფლებამოსილებები, მოამზადა კანონპროექტის საკუთარი ვარიანტი და ამგვარად უპასუხა პრეზიდენტის ვეტოს. შესაბამისად, დაიკარგა იმის შესაძლებლობა, რომ მოძებნილიყო კომპრომისი. თუ ეს პროცესი, როგორც ჩაფიქრებული იყო, გაგრძელდებოდა მარტის ბოლომდე, მხარეებს შორის იარსებებდა სივრცე დიალოგისათვის და კომპრომისის მოძებნა შესაძლებელი იქნებოდა. პრეზიდენტის მეორე ვეტოს შემდეგ ეს შესაძლებლობა დაიკარგა და მივიღეთ ის კანონი, რომელიც მივიღეთ. როგორც ითქვა, ეს პროცესი არ დასრულებულა და ბრძოლა გაგრძელდება საკონსტიტუციო სასამართლოში.

— დიახ, არასამთავრობოებმა უკვე განაცხადეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავდნენ. პარალელურად, ლია მუხაშავრიამ განაცხადა, რომ ამ საკითხზე სარჩელით სტრასბურგის სასამართლოს მიმართავდა. თქვენი აზრით, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ამ ორივე სარჩელს?

— თუ იქედან გამოვალთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმძღვანელობენ ის ადამიანები, რომელთა მსოფლმხედველური და ღირებულებითი სისტემები ახლოს არის ამ კანონის ოპონენტებთან, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ცალკეული მუხლები. რას იზამს ევროპული სასამართლო, ამაზე პროგნოზების გაკეთება მიჭირს.

საერთოდ, სკანდალები, რომლებიც უკავშირდება უკანონო სატელეფონო მოსმენებს, მარტო საქართველოში არ ხდება. ევროპაში, მაგალითად პორტუგალიაში მოხდა ასეთი სკანდალი: მმართველი პარტია სხვებს უსმენდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენთან მოსმენების მიმართ ფობია ჩამოყალიბდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი ჩვენი საზოგადოება უკანონო მოსმენების სინდრომითაა დაკავებული. ჩვენი საზოგადოება ვერ გათავისუფლდა მოსმენების გამო წინა ხელისუფლების მმართველობის დროინდელი შიშისაგან. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ამ პროცესში უფრო მეტად უნდა ყოფილიყო ჩართული ქართული საზოგადოება და მათთვის უფრო კარგად აეხსნათ ახალი საკანონმდებლო ინიციატივების არსი. თუ ამ პროცესში საზოგადოება მეტად იქნებოდა ჩართული, შესაძლოა, ბევრად უკეთესი კანონიც მიგვეღო.

— დეპუტატმა შალვა შავგულიძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტის შენიშვნების გაზიარებით პარლამენტს ამ საკითხზე მუშაობის გაგრძელების შანსი გაუჩნდა.. სხვა დეპუტატებიც აცხადებდნენ, რომ პრეზიდენტის შენიშვნების ნაწილი მისაღები, თუმცა სრულყოფილი არ იყო და მასზე მუშაობა იყო აუცილებელი, მაგრამ ასე სულაც არ მოხდა. პრეზიდენტის შეთავაზების წინააღმდეგი აღმოჩნდა 77 დეპუტატი და მას მხარი მხოლოდ 9 დეპუტატმა დაუჭირა. ამ თვალსაზრისით, საინტერესო გახლდათ დეპუტატ გიორგი ბარამიძის განცხადება — „პრეზიდენტის პროექტის წარდგინებით გაკვირვებული დავრჩით“. მეტიც, ამ თვალსაზრისით, საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება დეპუტატ ირმა ნადირაშვილის შენიშვნა პარლამენტში პრეზიდენტის წარმომადგენელ გიორგი კვერენჩხილაძისადმი — „როგორ მოახერხეთ, რომ თქვენივე ვეტოს მერე კიდევ უფრო მეტი გაურკვევლობა დარჩა“ პრეზიდენტის წინადადებას, დეპუტატმა რატიანმა „ემოციურ-სოლიდარული გაუგებრობა“ უწოდა, მაგრამ ფაქტია, რომ არასრულყოფილი წინადადებების შეთავაზებით პრეზიდენტმა იმავე პარლამეტს ნებით თუ უნებლიეთ საშუალება მისცა, დაეძლია მისი ვეტო და ე.წ. გასაღები ისევ შსს-ში დარჩენილიყო...

— ვერ გეტყვით, თუ რას ფიქრობდა პრეზიდენტი, როცა მან პარლამენტს თავისი წინადადებები შესთავაზა, მაგრამ მისი წინადადებებით ისე გამოდიოდა, რომ არც მწვადი დაიწვებოდა და არც შამფური. ანუ, შსს-ს რჩებოდა წვდომა ე.წ. გასაღებზე, მაგრამ ძლიერდებოდა სასამართლოს როლი. როგორ განხორციელდებოდა ეს ტექნიკურად, ეს პრეზიდენტის ინიციატივაში დეტალურად განმარტებული არ იყო. ამიტომაც დარჩა შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტის ინიციატივით არაფერი იცვლებოდა. არადა, თუ სასამართლოს როლი გაიზრდებოდა და გაძლიერდებოდა შსს-ზე კონტროლი, ეს იქნებოდა ერთგვარი კომპრომისული ვარიანტი.

ჩემი აზრით, პრეზიდენტმა მხარეებს კომპრომისული ვარიანტი შესთავაზა, მაგრამ ვინაიდან იგი არც თუ ისე გამართული აღმოჩნდა, მხარეებმა ჩათვალეს, რომ პრეზიდენტის ინიციატივა ბევრი არაფრით განსხვავდებოდა ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის პროექტისაგან.

მესმის, რომ მიღებული კანონი შორს დგას ევროპული სტანდარტებისგან, მაგრამ მეორე მხრივ, მთლად გამართლებული არ იქნებოდა მომხდარიყო შსს-ს, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის დემონიზაცია. ეს არ გახლავთ კარგი პრაქტიკა და არც ერთ ევროპულ ქვეყანაში არ არის მიღებული, რომ ხდებოდეს სახელმწიფო ინსტიტუტების დემონიზაცია. შესაძლოა მათი კრიტიკა, მათ რეფორმირებაზე საუბარი.

სრულიად ვიზიარებ პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის გამოსვლის პათოსს, რომ საჭიროა ამ სტრუქტურების რეფორმირება. მან მართებულად შეახსენა მმართველ გუნდს, რომ უნდა შეასრულონ წინასაარჩევნო დაპირება და მოახდინონ შსს-დან უშიშროების სამსახურის გამოყოფა. ჩვენ უნდა ვისაუბროთ არა მხოლოდ მოსმენებზე, არამედ შსს-ს სტრუქტურის ღრმა რეფორმირებაზე და აუცილებელია, რომ საზოგადოებაში ამ თემაზე კონსენსუსი შედგეს. შსს-ს დემონიზაცია, შესაძლოა, არასასურველი პროცესების გამომწვევი გახდეს. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, მეტი სიფრთხილე გვმართებს.

— სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა საზოგადოებას ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ დადგენილი ახალი ფაქტების შესახებ აუწყა. კერძოდ ის, რომ შეიარაღებული ჯგუფი ჩრდილოეთიდან არ შემოსულა, პროკურატურა გამოძიებაში ჩართული იმის გამო არ არის, რომ კონტრდაზვერვის სამსახურს ძიება არ დაუსრულებია, გარდაცვლილებს სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებიათ. მმართველი გუნდი 2 წელზე მეტი ხანია, ხელისუფლებაშია და წესით ეს გახმაურებული საქმე ჯერაც დაუსრულებული არ უნდა იყოს. თქვენ შსს-ს რეფორმირებაზე ისაუბრეთ, მაგრამ როგორც ჩანს, სერიოზული რეფორმირება სჭირდება პროკურატურასაც...

— რა თქმა უნდა, პროკურატურასაც სჭირდება სერიოზული რეფორმირება და ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩემი მოსაზრება, ამის თაობაზე საუბრობს სამოქალაქო სექტორი, ამის შესახებ მართალია, გაკვრით, მაგრამ საუბრობენ ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლებიც. შსს-სა და პროკურატურის, ისევე როგორც მთლიანად მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სისტემის რეფორმირება დიდი ხანია, მომწიფებულია და მმართველი გუნდი მას რაც უფრო მეტ ხანს გააჭიანურებს, ეს მისთვის პოლიტიკური კუთხით მით უფრო უარესი იქნება.

ახლა რაც შეეხება ლაფანყურის საქმეს. საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ წარმოდგენილმა ანგარიშმა კიდევ უფრო მეტი კითხვა გააჩინა, რომელზეც პასუხები, როგორც ჩანს, არც საზოგადოებრივ ჯგუფს აქვს. გასაგებია, რომ მათ ინფორმაციაზე სრული წვდომის საშუალება არ ჰქონდათ. უპრიანად მიმაჩნია ამ საქმის გამოძიება წაიღოს პროკურატურამ და მასზე დაწესდეს სერიოზული საზოგადოებრივი კონტროლი. საქმის რეზონანსულობიდან გამომდინარე, იგი იმსახურებს იმას, რომ პარლამენტში შეიქმნას საგამოძიებო კომისია და პარლამენტმა მის გამოძიებაზე კონტროლი დააწესოს. მასში იკვეთება ძალიან მაღალი რანგის სახელმწიფო პირების არც თუ ისე პოზიტიური როლი, რომლებიც დანაშაულის ზღვარზე მყოფ ქმედებებად კვალიფიცირდება.

კობა გენდელიანი

„ეს მოდელი ის მაქსიმუმია, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ შესაძლებელია“!

13 ოქტომბერს მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთი აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან აპირებს გააფორმოს „ახალი ხელშეკრულება „მოკავშირეობის და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებო“ და უკვე 24 ნოემბერს, ქ. სოჭში ხელი მოაწერეს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა და სეპარატისტული აფხაზეთის ლიდერმა ხაჯიმბამ. დიახ, ვითარება იძაბება, რადგან ამ ხელშეკრულებაში (მისი განხილვა ამ სტატიის მიზანი არ არის) შემავალი პარაგრაფები, აშკარად ატარებენ მცოცავი ანექსიის ნიშნებს! საქართველოს მხრიდან, მხოლოდ დასავლეთის „არაღიარების“ პოლიტიკის იმედად ყოფნა, ანდა საერთაშორისო სამართლებრივ ასპარეზზე რუსეთის მისამართით მხილება და ჩივილი, პოლიტიკური თვალსაზრისით არაფრისმომტანი იქნება! საჭიროა ვიფიქროთ ალტერნატიულ და თუ გნებავთ, არაორდინალურ ხედვებზე და გადაწყვეტილებებზე. ჩემს მოსაზრებაში და ხედვაში, რომელზეც ქვევით მექნება საუბარი, ბევრი ისეთი დეტალია, რომელსაც ფრთხილი მიდგომა და ღრმა ანალიზი ჭირდება. ამ თემაში ჩაუხედავ და გაუთვითცნობიერებელ ადამიანებისათვის გაუგებარი და ალბათ, მოულოდნელიც იქნება ეს და ამიტომ, მისი კითხვით ნუ შეიწუხებენ თავს.

მოკლედ, დაუბრუნდეთ თემას. ოქტომბრადე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა ერთ–ერთ ინტერვიუში განაცხადა, არაა გამორიცხული აფხაზეთთან და ოსეთთან მიმართებაში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალოს, მთავარია, — „საქართველომ ოსები და აფხაზები დაარწმუნოთ, რომ — ფედერაციაში ან კონფედერაციაში ყოფნა საქართველოსთან უკეთესი იქნება მათთვის, ვიდრე დამოუკიდებლადო“. რუსებს მიაჩნიათ, რომ საქართველო არასდროს აღიარებს აფხაზეთს და ე.წ სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. თბილისში ვერავინ გაბედავს ამის გაკეთებას და ეს **რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა რამდენჯერმე გაიმეორა, — „მე მესმის, რომ საქართველო არასოდეს აღიარებს ამ ტერიტორიებს, მაგრამ რუსეთიც ვერ წაიღებს უკან მათ „აღიარებებსო“**. — მიმაჩნია, რომ კარასინის ეს განცხადება განპირობებულია საერთაშორისო გეოპოლიტიკური კონტექსტის გამწვავებით, რომლის მთავარი მიზეზი უკრაინის კრიზისი გახლავთ. **დღეს, რუსეთის მთავარი პრობლემა არის ყირიმის ანექსიის „გაპრავება“ თუ არა, ევროპასთან ამ პრობლემის განხილვის ხანგრძლივ პერსპექტივაში „გადატანა“ და აქედან გამომდინარე, რუსეთი შესაძლებელია გარკვეულ კომპრომისზე წამოვიდეს საქართველოსთან მიმართებაში. ამიტომ, შეცდომაა ქართველი პოლიტიკოსებლიშმენტის მხრიდან ყირიმის ანექსიის მიბმა, აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაციის საკითხებთან, რადგანაც, რუსეთისთვის ისინი სხვადასხვა სირთულეების და მნიშვნელობის პრობლემებია . მაგალითად, — რუსეთი ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნებაზე არასოდეს დათანხმდება, რადგანაც ყირიმს რუსეთი მიიჩნევს თავის ისტორიულ რეგიონად! ხოლო, აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით რუსეთს ასეთი დამოკიდებულება არა აქვს, ამიტომ აქ დიალოგზე წამომსვლელია (რუსეთი დასავლეთთან კომპრომისებზე წამსვლელია იმის დასამტკიცებლად, რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე შეიძლება მასთან შეთანხმება და ამით უნდა ვისარგებლოთ ჩვენ!)!..**

ამას ადასტურებს კარასინის ფრაზა და როგორც ჩანს, რუსეთი საქართველოს კონფედერაციულ მოწყობაზე „კბილს გვისინჯავს“... **საქართველოსგან რუსეთის ამ წინადადებაზე დათანხმება, უნდა გამოირიცხოს, ეს პოლიტიკურ-სამართლებრივი არქაიზმია და ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის დამღუპველი იქნება, რადგანაც კონფედერაციის პირობებში მასში შემავალ სუბიექტებს ნებისმიერ დროს რეფერენდუმის ჩატარების გზით შეეძლებათ იქიდან გასვლა! სავარაუდოდ, რუსეთი მაინც ეცდება კონფედერაციული „ინტეგრაციული პროექტის“ შეთავაზებით, საქართველო „სამ სუბიექტიან კონფედერაციულ სახელმწიფოდ გააერთიანოს“ და გახდეს — „საქართველოს კონფედერაციის ურღვევობის ერთადერთი გარანტი“, რითაც რუსეთი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავლენას საბოლოოდ აღიდგენს!**

მოსკოვის გეგმით, „კონფედერაციის“ განხორციელება შესაძლებელი იქნება მას შემდეგ, თუ თბილისი სოხუმის და ცხინვალის „დამოუკიდებლობებს აღიარებს“, ხოლო ამის შედეგად ეს სამი სუბიექტი — საქართველო, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი — „კონფედერაციულ სამ სუბიექტიან სახელმწიფო შეთანხმებას დადებენ“, რუსეთის შუამავლობით! ეს კი ნიშნავს, საქართველოს სუვერენიტეტის და სახელმწიფოებრიობის სრულ ნიველირებას და პროფანაციას, რაც კატეგორიულად დაუშვებელია! იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვის ეს გეგმა თბილისმა არ მიიღო და განაგრძო ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში (ნატო) ინტეგრირებისაკენ სვლა, მაშინ რუსეთის სტრატეგიული მიზანი იქნება აფხაზეთის რუსეთთან მიერთება (ანექსია). საქმე ის არის, რომ ასეთ ვითარებაში საქართველომ, ან რუსეთთან, ან აფხაზეთთან უნდა შეძლოს „ცალ—ცალკე“ მოლაპარაკება, იმიტომ, რომ „ორივესთან ერთად“ ეს შეუძლებელია, რადგანაც, ამ შემთხვევაში ისინი „ერთ პოზიციაზე დგანან“ და ჩვენს ინტერესებს ერთად უპირისპირდებიან!.. **საქართველომ თავისი სტრატეგია იმ წინააღმდეგობებზე უნდა ააგოს, — რაც რუსებს და აფხაზებს ერთმანეთის მიმართ აქვთ!** მოკლედ, ფაქტობრივი ვითარება ისეთია, რომ საქართველოსთვის აფხაზეთთან მოლაპარაკება შეუძლებელია, აფხაზების შეურიგებელი და უკომპრომისო პოზიციების გამო, ხოლო რუსეთთან, საქართველოს მეტი შანსი აქვს მოლაპარაკების და კომპრომისის გზით სასურველ შედეგს მიაღწიოს! ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედი გადაეწურა, მაშინ, შეიძლება აფხაზეთის „დამოუკიდებლობის აღიარებით დაემუქროს“ რუსეთს (ამ შემთხვევაში, რუსეთი ვეღარ შეძლებს „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის ანექსიას), რაც რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება! საქმე ის გახლავთ, რომ **რუსეთს აფხაზეთის „რეალური დამოუკიდებლობა“ არაფერში აწყობს, რადგანაც ამ ვარიანტში საქართველო აფხაზეთს კი დაკარგავს, მაგრამ რუსეთიც დაკარგავს მასზე კონტროლს და, რაც მთავარია, უკვე ვეღარ მოახდენს აფხაზეთის მიერთებას, იმიტომ, რომ აფხაზეთი გახდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი!** მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში, სამხრეთ კავკასიაში ჩნდება ახალი პოლიტიკური მოთამაშე — დამოუკიდებელი აფხაზეთის სახით, რომელიც, თუ რომელ სტრატეგიულ პარტნიორებს აირჩევს მომავალში, ძნელად საპროგნოზო არ არის... **მოსკოვს კარგად ესმის, რომ საქართველოს მხრიდან აფხაზეთის „დამოუკიდებლობის აღიარების“ შემთხვევაში (პრინციპით — „არც მოსკოვს და არც თბილისს“), დასავლეთი (აშშ, ევროკავშირის სახელმწიფოები) მყისიერად აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას, რასაც ლოგიკურად მოყვება — აშშ—ის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და სხვა ევროპული სახელმწიფოების მხრიდან, მათ შორის, მეზობელი თურქეთის მიერ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება დამოუკიდებელ აფხაზეთთან და დედაქალაქ სოხუმში, — დასავლეთის სახელმწიფოების საელჩოების გახსნა, რაც დამოუკიდებელი აფხაზეთის დასავლურ სამყაროში ინტეგრირების მომასწავებელი იქნება!.. ეს კი, კატეგორიულად ეწინააღმდეგება მოსკოვის გეგმებს სამხრეთ კავკასიაში, რადგანაც დასავლეთის მიერ აღიარებული დამოუკიდებელი აფხაზეთის შემდეგი ნაბიჯი გახდება ის, რომ დასავლეთში ინტეგრირებული აფხაზური საზოგადოება 1-2 წელიწადში დაბეჯითებით მოითხოვს რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას დამოუკიდებელი აფხაზეთის ტერიტორიიდან, რასაც მთელი დასავლური სამყარო დაუჭერს მხარს!.. ლოგიკურად, მოვლენების ასეთი განვითარება არ აწყობს, არც მოსკოვს და არც თბილისს, ამიტომ, კომპრომისი მათ შორის, აუცილებელი და შესაძლებელია!..**

თუ აფხაზეთი, „რეალურად დამოუკიდებელი“ გახდა (აფხაზეთის ანექსიის საწინააღმდეგოდ, საქართველოს მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის აღიარების“ ჩვენთვის და რუსეთისთვისაც მიუღებელი სცენარი!), მაშინ, რუსეთს საქართველოს „კონფედერაციული მოწყობის“ საკუთარი პროექტიც ჩაუვარდება და რუსების ძალისხმევაც აფხაზეთის ანექსიისაკენ ფუჭი გახდება! ამიტომ, **საქართველოს ეძლევა იმის შანსი, რომ რუსეთს მათი „კონფედერაციული პროექტის“ სანაცვლოდ, საკუთარი გეგმამოდელი შესთავაზოს!! ასე რომ, მოსკოვს მოუწევს თბილისთან კომპრომისზე წამოსვლა, ისევე, როგორც თბილისს მოუწევს კომპრომისის მონახვა მასთან, რადგანაც მოსკოვის მხრიდან აფხაზების „დარწმუნების და ზემოქმედების“ გარეშე, აფხაზები არ დათანხმდებიან საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას, რადგანაც აფხაზებს რუსეთში „შესვლაზე“ მეტად არ უნდათ საქართველოში „დაბრუნება“ და ეს კარაგად უნდა გავაცნობიეროთ ქართველებმა, თუ გვინდა ქვეყნის გამთლიანება!.. მოკლედ, თბილისი და მოსკოვი უნდა შეთანხმდნენ ისეთ კომპრომისულ მოდელზე, რომელიც იქნება საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებში, სადაც — აფხაზთა ეროვნული, თვითმყოფადი ინტერესებიც იქნება გათვალისწინებული, ორივე სახელმწიფოს მხრიდან!!**

დიახ, აფხაზების მნიშვნელოვან ნაწილს არ სურს რუსეთში „შესვლა“ და 2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთისგან ნაბოძებ ეფემერულ „დამოუკიდებლობას იცავს“, მაგრამ, **აფხაზთა „დასარწმუნებლად და მოსარჯულებლად“ რუსეთს არაერთი ბერკეტი აქვს, მაგალითად ის, რომ რუსები დააყენებენ აფხაზებს არჩევანის წინაშე, — ან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლა, ან კიდევ „ერთი-ერთზე დარჩენა საქართველოსთან“! აი, ამ შემთხვევაში კი, აფხაზებისთვის „დამოუკიდებლობის“ შენარჩუნების შანსი რუსების დახმარების გარეშე — ნულის ტოლია! ხოლო, კითხვაზე, თუ სად ურჩევნიათ აფხაზებს „ყოფნა“ — რუსეთის თუ საქართველოს შემადგენლობაში, მაშინ, აფხაზთა უდიდესი უმრავლესობა აირჩევს რუსეთს, ქართველების მხრიდან „რევანშის აღების“ და აფხაზეთში 250 ათასი ქართველი ლტოლვილის დაბრუნების შიშით! ასე რომ, ყველა ამ არგუმენტის გათვალისწინებით კომპრომისის მოძებნა საქართველო-რუსეთს შორის, არის „აფხაზური კვანძის“ გახსნის გონივრული საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მოსკოვი და თბილისი ვერ შეთანხმდნენ და ერთმანეთს „კრიჭაში ჩაუდგნენ“ („არც მე და არც შენ“), მაშინ, მოგებული რჩებიან აფხაზი სეპარატისტები, რომლებსაც დიდი ალბათობით, შეიძლება „ხელში ჩაუვარდეთ“ — საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ „აღიარებული დამოუკიდებლობა“ (დასავლეთში, სიმპათიით აღნიშნავენ აფხაზთა „ურჩობის მცდელობას“ მოსკოვის მიმართ)!** საქართველოს ნატოში „მომავალში გაწევრების“ იმედით, თუ რუსეთთან კომპრომისული შეთანხმება არ შედგა, ცხადია, **რუსეთი არასოდეს წამოვა იმაზე, რომ საქართველოს ნატოში გაწევრების პარალელურად, ხელი შეუწყოს აფხაზეთის საქართველოში დაბრუნების პროცესს!** რუსებმა კარგად იციან, აფხაზთა „სიძულვილი და შიშები“ ქართველების მიმართ და დარწმუნებულები არიან, რომ **აფხაზები 1992-93 წწ. სისხლისმღვრელი ომის შემდეგ არასოდეს დათანხმდებიან რუსეთის საქართველოთი „ჩანაცვლებას“ (როგორც ზოგიერთი ქართველი „ვაისტრატეგი“ ვარაუდობს). აფხაზები, დღესაც იმ ფატალური „პრინციპის და ფორმულის“ ერთგულები არიან, რომელსაც „ქადაგებდნენ“ ამ სამი ათეული წლის წინ, — „გვირჩევნია ზღვაში დავიხრჩოთ, ვიდრე ტბაშიო“! ანუ, როდესაც ქართველები აფხაზებს ეუბნებოდნენ (დღესაც ვეუბნებით), რომ აფხაზი ხალხის თვითმყოფადობას საფრთხე დაემუქრება, თუ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, მაშინ აფხაზები ასიმილირებას ვერ გადაურჩებიან, ამის პასუხად აფხაზები ამბობდნენ, — „ჩვენ გვირჩევნია ზღვაში (ანუ, რუსეთში) დავიხრჩოთ, ვიდრე ტბაშიო (ანუ, საქართველოში)“! ვფიქრობ, რომ ახლა ყველასთვის გასაგებია, თუ რა სიძულვილი იყო დაგროვილი აფხაზებში ჯერ კიდევ ომამდე და რა გასაკვირია, სისხლისმღვრელი ომის შემდეგ ეს გაუცხოება ქართველების მიმართ უფრო გაზრდილიყოს?! აფხაზებს, უწინარესად ქართველი დევნილების მასობრივად დაბრუნების შიში აქვთ, მით უმეტეს, თუ ეს მოხდება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე!.. აფხაზებმა რუსების კარნახით, პოლიტიკური თვალსაზრისით გამონაკლისი დაუშვეს გალის რაიონისთვის, სადაც ქართველები ცხოვრობენ, აბსოლუტურად გაუსაძლის და დამამცირებელ პირობებში, რადგანაც მუდმივად იმყოფებიან სეპარატისტების ძალმომრეობის ქვეშ!.. აფხაზებს ეშინიათ იმის, რომ აფხაზეთში 1992—93 წლების ომამდელი დემოგრაფიული მდგომარეობა არ აღდგეს, როდესაც ქართველები მოსახლეობის 44%-ს შეადგენდნენ! ხოლო, ყველაზე მეტად კი, აფხაზებს და ოსებსაც იმის შიში აქვთ, რომ ქართველებმა და რუსებმა — „ერთმანეთთან საერთო ენა არ გამოძებნონ “!!!**

აფხაზები, ცოცხალი თავით არ დათმობენ „დამოუკიდებლობას“, რაც არ უნდა „ევროპულად ვუმღერ-ვუცეკვოთ“, თუ მათზე გარედან ზემოქმედება არ იქნება“, ანუ რუსეთიდან! აფხაზები აცხადებენ, რომ — თუ საქართველოს აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენა სურს, მაშინ ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმებას მოაწეროს ხელი. მათ მიაჩნიათ, რომ საკუთარი სახელმწიფო უკვე ააშენეს და საქართველოს ხელისუფლების განცხადებებს „ძმობის და დობის“ თაობაზე, აფხაზები ირონიით აღიქვამენ. არც საქართველოს „ეკონომიკური მიმზიდველობის“ გამო არ აპირებენ საკუთარი პოზიციების დათმობას, რომელიც დასავლეთის ფრთის ქვეშ ილუზიებით სავსე კარგი ცხოვრების დაპირებად მიაჩნიათ. მოკლედ, მხოლოდ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების დაპირებებით აფხაზებისა და ოსების ნდობის აღდგენის მცდელობა არაფრის მომცემია. რაც მთავარია, აფხაზების 99%-ს, თავისი „უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის“ გარანტად მხოლოდ რუსეთი მიაჩნია და აცხადებს, რომ ეს მათი „თავისუფალი არჩევანია“. ამ პოზიციას, ისინი საქართველოს მიერ დეკლარირებულ „თავისუფალი არჩევანის“ სტრატეგიას უპირისპირებენ და ამბობენ, რომ თუ ქართველებს გაქვთ უფლება, გქონდეთ თქვენი „თავისუფალი არჩევანი“, თუ ვისთან იმეგობროთ ან რომელ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში გაწევრდეთ, მაშინ ჩვენც გვაქვს იმის უფლება, რომ „თავისუფალი არჩევანი“ გვქონდესო!..

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი.

(დასასრული იქნება)

◎ ვინ როგორ ხედავს: მოგონებები მომავალზე

არ იცი? გასწავლით! არ გინდა? გაიძულებთ!

30-იან წლებში სტალინის წარმოთქმული ეს მახვილგონივრული ფრაზა დედანში, რუსულ ენაზე უფრო „გემრიელად“ ჟღერს:

„Не знаешь? Научим! Не хочешь? Заставим!“

რამდენად ავის მომასწავლებლად გაიჟღერებდა თავის დროზე დიდი ბელადის მიერ თითქოს ხუმრობაგაშვებით ნათქვამი ეს რეფრენად ქცეული ფრაზა?!

რომ არა მსგავსი „ხუმრობების“ ნიჭი, იოსებ ჯუღაშვილი ვერ შესძლებდა ვერც ქვეყნის შიგნით არსებულ ტროცკისტთა განადგურებას, ვერც ქვეყნის კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციას, ანუ, მძლავრი სსრკ-ს აშენებას და რა თქმა უნდა, ვერც ჰიტლერულ ფაშიზმს მოახრჩობდა.

სამწუხაროდ, სტალინის ეს რეფრენი აქტუალურია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ბოლო 25 წლის მანძილზეც, მაგრამ ქართველებმა ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ...

ჯერ იყო და ისედაც სულთმომბრძავი სსრკ-ს დასანგრევად პირველი, წითელ იმპერიაში ცხოვრების დონით პირველი, საქართველო ეძგერა და შედეგად 9 აპრილის ტრაგედია მივიღეთ; მერე იყო და უკვე „დამოუკიდებელმა“ საქართველომ, კუდი ყავარზე გაიდო და ოსტაპ ბენდერის ზღაპრის, „ზაგრანიცა ნამ პომოჟეტ“ იმედად, ნებით არ შევიდა „დსთ“-ს პოსტსაბჭოთა გაერთიანებაში, სადაც სამოქალაქო ომის ფონზე, აფხაზეთ-ცხინვალის დაკარგვის შემდეგ დაჩოქილები, მაინც შეგვათრიეს...

შემდეგ, გაკუპონებულ-გაყინულ-ჩაბნელებულმა საქართველომ რის ვაი-ვიშით მიაღწია XXI საუკუნემდე და დასავლეთი ამჯერად მართლა „დაგვეხმარა“ — ჯორჯ სოროსმა ე.წ. ვარდების რევოლუციის „ტრანში გაგვიკეთა“, ხოლო 2005 წელს პრეზიდენტ ბუშის მიერ მეიდანში ნაცეკვმა შალახომ საბედისწერო ტრანსში ჩაგვაგდო.

რის გამოც ვერ შევნიშნეთ, რომ რუსეთის ისტორიული, სამსაუკუნოვანი გავლენის სფერო კავკასიის ფაქტობრივად დედაქალაქ თბილისში, ბუშის „ტრანშის ქნევას“, სომხეთში მაინცდამაინც ზუსტად იმ დღეს „შემთხვევით“ აღმოჩენილი ვლადიმერ პუტინი, გიუმრის სამხედრო ბაზიდან ავისმომასწავებლად აკვირდებოდა...

იმ დროს, საქართველოსთვის გამაფრთხილებელი შორიდან მზერის გარდა რუსეთს მეტი არაფერი შეეძლო, რადგან 90-იანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა იმპერიის დაშლის გამო მსოფლიოს ერთპიროვნულ მბრძანებლად ქცეული ამერიკისგან არაერთგზის შეურაცხყოფილი და დაჩოქებული, სამოქალაქო ომის ქაოსიდან ახლად გამოსული რუსეთი, მუხლებიდან წამოდგომას ის-ის იყო იწყებდა!

ეს „ის-ის იყო“ კი, როგორც ჩანს შეუქცევად პოლიტიკურ-სამხედრო იმპოტენციად ჩაუთვალა რუსეთს კრემლინი სააკაშვილის პროამერიკულმა მარიონეტმა ხელისუფლებამ და პრეზიდენტ ბუშის სახელობის ქუჩით შემოზიდული ნატო-ევროკავშირის დროშების ფრიალი ატყდა თბილისში.

ამან, როგორც ჩანს, ხარისთვის წითელ ფერზე გაცილებით ძლიერი გამაღიზიანებელი ეფექტი იქონია რუსულ დათვზე, რადგანაც ვლადიმერ პუტინისთვის, ცისფერი, ნატო-ევროკავშირის „პროგრესთან“ ერთად, იმ ლგბტ საფრთხესაც ნიშნავს, რაც, სამწუხაროდ, ჩვენი დროის ე.წ. ევროატლანტიკური სივრცის და, რა თქმა უნდა, იმისთვისაც, ვინც ამ სივრცისკენ ილტვის, აუცილებელ-სავალდებულო შემადგენელია!..



ამ დროშების ფრიალში გაგვითენდა ჩვენთვის საბედისწერო 2008. რომლის ადრე გაზაფხულზე ნატოს ბუქარესტის სამიტით შეშფოთებულმა რუსეთის საგარეო მინისტრმა, რომ იტყვიან, ღია ტექსტით მიმართა სააკაშვილის ხელისუფლებას, რომლის შინაარსი ყველასთვის გასაგები, „ხალხური“ ენით თუ ვიტყვით, დაახლოებით ასეთი იყო:

არ გინდივართ რუსეთი, თავშიც ქვა გიხლიათ, მაგრამ ვერც ევროატლანტიკური „ქათმების კრიახს“ ავიტანთ საკუთარ საზღვრებთან და ნურც ნატოს გავუღებთ კარებს, ნეიტრალიტეტი გამოაცხადეთო. რაზედაც სერიოზულ პასუხს ვინღა დაეძებს, აპლომბით შეზავებული ჯერ ღლიცინი დაიწყეს ნაცებმა და შემდეგ მათმა იმბეცილმა პრეზიდენტმა ომი დაიწყო...

დიახ, ომი, არც რუსეთს დაუწყია და არც საქართველოს! ომი დაიწყო სააკაშვილმა!

სააკაშვილი და საქართველო კი, ორი სხვადასხვა რამ არის...

ზუსტად იმდენი დრო იტრაბახა რუკის წინ, ჯოხით ხელში მხდალმა მთავარსარდალმა, რამდენიც ვლადიმერ პუტინს დასჭირდა პეკინიდან ვლადიკავკაზში ჩამოსასვლელად. ჩამოვიდა და ცხინვალში წინასწარ საპარადედ მიტანილი ტრიბუნა, წითელი ხალიჩა და დროშები „ჯანში“ გაუკეთა მიშიკოს, რომელმაც იგრძნო რა, რომ ვოვა დანაპირებს შეუსრულებდა და ერთი ადგილით უეჭველად ჩამოკიდებდა, ისე მოცოცხა ბრძოლის ველიდან, როგორც პიპინია ერისთავმა პორტარტურიდან...

მაშინ მოხდა ის, რაზეც ახლა ვიშვიშებენ ნაცები; დიდი ხნის წინათ დე ფაქტოდაკარგულ აფხაზეთს პლიუს ზემო აფხაზეთად წოდებული კოდორის ხეობა და ცხინვალს პლიუს ახალგორის რაიონი დე იურედაც დაიკარგა, ცნორა, საქართველოსთვის კოჭის გორებით დაღლილმა რუსეთმა ყოფილი ავტონომიური სუბიექტები დამოუკიდებელ რესპუბლიკებად ...

ჰოდა, რა მნიშვნელობა აქვს რუსეთის ე.წ. ხელშეკრულების გაფორმებას აფხაზეთთან და რა მნიშვნელობა ექნება იგივეს განმეორებას ცხინვალთან მიმართებით?

რა, ამ ხელშეკრულების გარეშეც რუსეთს ფაქტიურად ანექსირებული არ ჰქონდა, ვინ აკონტროლებდა ყველაფერს სოხუმ-ცხინვალში?

საქართველო-რუსეთის ფაქტობრივად საზღვარი ე.წ. ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯის გარეშეც, ისედაც ენგურზე არ გადიოდა?

ან, რომელი „არასრულყოფილი ინფორმირების“ შესახებ ყიჟინებენ ნაცები, რა, „სრულყოფილი ინფორმირების“ გარეშეც არ იციან ჩვენმა დასავლელთელმა „მეგობრებმა“, რას აპირებდა რუსეთი გუშინ და რას აპირებს ხვალ?

აქედან გამომდინარე გაუგებარია, რატომ დგას ქოცების ხელისუფლება, ზოგადად და პირადად პრემიერი ღარიბაშვილი, დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით თავჩაღუნული, რატომ არის თავდაცვით პოზაში, როცა ჩვენს მიერ ზემოთ დასმული რიტორიკული კითხვებიდან გამომდინარე, პირიქით, ნაცებზე შეუძლიათ იერიშის მიტანა?

ნაცებზე, რომლებიც მთავარი შემოქმედნი არიან სოხუმ-კოდორ-ცხინვალ-ახალგორის ჩაბარებისა და ახლა ჰყოფნით თავხედობა, რომ პარლამენტში ფეხებ-მუშტების ბრახუნით „შუმოკი“ მოუწყონ ხელისუფლებას!

რატომ და იმიტომ, რომ ან მართლაც უუნარონი არიან, ან ღარიბაშვილი მართლაც მარტოა და მის წინააღმდეგ, შინ თუ გარედან ფარული ბრძოლა მიმდინარეობს...

კერძო საკუთრების უცერემონიო ხელყოფა, ასობით ახალგაზრდის ქუჩებში დახვრეტა, ციხის ბუნტის ინსპირირება და პატიმრების საკნებში ჩაცხრილვა, 7 ნოემბერი, 26 მაისი, საპატიმროებში ხალხის მასობრივი წამება — აი, არასრული ჩამონათვალი სააკაშვილის 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის დანაშაულებებისა, რომელთაც ფართოდ დახუჭული თვალებით უმზერდა აშშ და ყველაფერს „უპრავებდა“ მის მიერვე დემოკრატიის შუქურად შერაცხილ ავადმყოფ სააკაშვილს!

ახლა არის და იმავე აშშ-ის ნებით თავსმოხვეული კოჰაბიტაციის და არსებული ხელისუფლების უნიათობის გამო, იძულებულები ვართ, სისხლის სამართლის დამნაშავეთაგან პარლამენტში თუ ტელევიზიებიდან ნოტაციები ვისმინოთ...

მხოლოდ გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილის თუ სადისტ ახალაიას პატიმარყოფა, ვერაფერი ნუგეშია იმ ფონზე, როდესაც ამ ნაძირლებს ჯამში ერთად აღებული იმხელა სასჯელი არა აქვთ, რაც ერთ, ნამდვილად არა ფრთიან ანგელოზს, მაგრამ ქვეყნის პატრიოტ ემზარ კვიციანს მიუსაჯა კუბლაშვილის სასამართლომ, იქ ამერიკის და აქ ნაცბანდის საამებლად...

კვიციანი თავის ადგილზე რომ ყოფილიყო, კოდორის ხეობა არ დაიკარგებოდა!

იხ. 9 გვ.

◎ SIC!

მოსამართლის თუ განსასჯელის სკამი?

For.ge აგრძელებს იმ მოსამართლეთა წარსულზე საუბარს, რომლებმაც საზოგადოებას თავი უსამართლო განაჩენებით დაამახსოვრეს. თუმცა, ამის მიუხედავად, მოსამართლეობის ათწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც, ხელახლა აპირებენ მოსამართლეებად მოგვევლინონ. ამ ადამიანებმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეობის შესარჩევი კონკურსის მეორე ეტაპზე გასვლის უფლება უკვე მოიპოვეს და გამორიცხული არ არის, კვლავაც ადამიანთა ბედი განაგონ. ეს ყველაფერი ეჭვის საბაბს იძლევა, რომ 2015 წლის თებერვალში კოტე კუბლაშვილის ვადის ამოწურვის შემდეგ, მონური მორჩილებით განთქმული მოსამართლეები კვლავაც ნაციონალების დაკვეთებს შეასრულებენ, ოღონდ ამჯერად ათი წლის ნაცვლად, უვადოდ დარჩებიან თანამდებობებზე.

ზვიად ესებუა — საკმაოდ დიდი ხნის მოსამართლეა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, ადვოკატები მას არაობიექტურად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის ყოველთვის პროკურორების წარბის შეხრის მონა იყო. ამის მაგალითია **ვლადიმერ დოლიძის** გახმაურებული საქმის განხილვა, რომელიც ნანუკა ჟორჟოლიანის ძმასთან, **მიშა ჟორჟოლიანთან** ერთად იყო დაკავებული ვაკეში მომხდარი ჩხუბის გამო. თუმცა, ადვოკატების თქმით, მოსამართლემ პროკურორის ყალბი შუამდგომლობა „გააპრავა“ და არ დაიცვა კანონის უზენაესობა. გარდა ამისა, ზვიად ესებუა განიხილავდა პოლიტპატიმრების: **ვახტანგ მაისაიას, გია სალუქვაძისა** და **ზაქარია ზურაშვილის** საქმეებს, რომლებიც მხოლოდ ამნისტიის შედეგად გათავისუფლდნენ. ამდენად, მისი წარსული საქმიანობის გამო „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჯერ კიდევ მაისში მოითხოვდნენ, რომ მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევის პროცესი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით განხორციელებულიყო.

For.ge-სთან საუბარში ყოფილი პოლიტპატიმარი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ ზვიად ესებუა სისხლის სამართლის დამნაშავეა, ამიტომ ის მოსამართლის სკამზე კი არა, ციხეში უნდა იჯდეს.

„For.ge-ს მეშვეობით მოვუწოდებ პროკურატურას, მიხედოს მოსამართლე ზვიად ესებუას საქმეს, რომელმაც 2010 წლის 22 იანვარს ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. მან მტკიცებულებად მიიღო ჩემი ლეპტოპი, რომელიც პროკურორმა ბერეკაშვილმა აბსოლუტურად ღიად მოიტანა. ანუ საგამოძიებო ჯგუფმა დალუქა, მათ გახსნეს და მხარზე გადაკიდული მოიტანა პროკურორმა. კაცმა არ იცის, ლეპტოპში რა ჩაწერეს. არანაირი დოკუმენტი არ ყოფილა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ლეპტოპი გაიხსნა ოპერატიული გზით და ისევ დაილუქა. ამდენად, როცა პროკურორს ღია წესით მოაქვს მტკიცებულება, მოსამართლეს უნდა გაეუქმებინა ასეთი „მტკიცებულება“ და იმავე დღესვე გავეთავისუფლებინე“, — გვითხრა ვახტანგ მაისაიამ.

ამასთან განმარტა, რომ სწორედ მოსამართლე ზვიად ესებუამ მიიღო წარმოებაში მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მიღებული ჩვენება, ზვიად ესებუამ დაადანაშაულა იგი ბუნებაში არარსებულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში, რადგან არც სლოვაკეთის სამხედრო დაზვერვა და არც რუსეთის ფედერაციის მიერ ჩანერგილი სამსახური არ არსებობდა, რაც სამხედრო ექსპერტ ბესიკ ალადაშვილის დასკვნითაც დასტურდება.

ანჟელი ხუროძე — კომუნისტებიდან მოყოლებული მოსამართლეა. მისი პერსონა ადვოკატებში კითხვებს ბადებს, როგორ შეიძლება, ადამიანი ყველა ხელისუფლების დროს იყოს მოსამართლე? ეს ხომ არ ნიშნავს, რომ იგი ნებისმიერი ხელისუფლებისთვის საამო გადაწყვეტილებებს იღებს? როგორც „ახალგაზრდა ადვოკატები“ ამბობენ, ანჟელი ხუროძემ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო თანამდებობიდან გათავისუფლებული **ირაკლი ქველაძის** საქმეზე, რომელიც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ყოფილი უფროსი იყო. „ახალგაზრდა ადვოკატთა“ თქმით, ირაკლი ქველაძე იუსტიციის სახლისა და თბილისის იუსტიციის სახლის ყოფილი დირექტორების შეთანხმებული მოქმედებით გაათავისუფლეს, რადგან მან თეა წულუკიანს მიაწოდა ინფორმაცია თანამშრომელთა უფლებების დარღვევის შესახებ.

იხ. 8 გვ.

ნურსულთან ნაზარბაევი:

მსოფლიოს არქიტექტურა იცვლება

ა.წ. 11 ნოემბერს პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა 2015 წლის იანვრისთვის დაგეგმილ თარიღზე ადრე მიმართა ყაზახეთის მოსახლეობას. „მე ვაცხადებ ყაზახეთის ახალი ეკონომიკური პოლიტიკის „ნურლი ჟოლ – გზა მომავლისკენ“ შესახებ და სწორედ ამას ვუძღვნი ხალხისადმი ჩემს ახალ მიმართვას“, – განაცხადა ნურსულთან ნაზარბაევმა. ამიტომ ვადების გადაწევამ საშუალება უნდა მისცეს ყაზახეთის მთავრობას, დროზე მოემზადოს 2015 წლის სამუშაოსთვის.

ნურსულთან ნაზარბაევმა აღნიშნა, რომ, მისი მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე, იგი უბრალოდ წინასწარ გრძნობს, რომ უახლესი წლები გლობალური გამოცდების დროდ იქცევა. ცვლილებას განიცდის მსოფლიოს არქიტექტურა. ყველა სახელმწიფო ვერ შეძლებს ამ რთული ეტაპის ღირსეულად გავლას. ამ ზღვარს გადაკვეთენ მხოლოდ ძლიერი, ერთიანად შეკრული ხალხები და ქვეყნები. ყაზახეთი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი და ქვეყანა, რომლის უშუალო სიახლოვეს იმყოფება გეოპოლიტიკური დაძაბულობის ეპიცენტრი, განიცდის ყველა იმ პროცესის ნეგატიურ გავლენას, რომლებსაც ამჟამად ვაკვირდებით. შედეგად ვხედავთ, რა ხდება: ეცემა ფასები მსოფლიო ბაზრებზე, ზოგადად ნელდება ეკონომიკური ზრდა.

როგორც ყაზახეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, მსოფლიო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა გადახედეს თავის 2014-2016 წლების მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროგნოზებს კლების მიმართულებით. ამიტომ ყაზახეთმა კორექტივები უნდა შეიტანოს თავის მომავალი პერიოდის გეგმებში. ამიერიდან სახელმწიფო დაიწყებს ეროვნულ ფონდში დაგროვილი რეზერვების წარმართვას მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციაზე. ეს სახსრები დაეხმარება სირთულეების გადალახვაში და სტიმულს მისცემს სამამულო ეკონომიკის ზრდას. ყაზახეთი ყურადღებას გაამახვილებს სატრანსპორტო, ენერგეტიკული, ინდუსტრიული, სოციალური ინფრასტრუქტურისა და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე.

პრეზიდენტის თქმით, ყაზახეთის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას „ნურლი ჟოლ“-ს (გზა მომავლისკენ) ექნება კონტრციკლური ხასიათი და მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურული რეფორმების გაგრძელებისაკენ. რა იგულისხმება ამაში? იმ წლებში, როდესაც გარე ბაზარზე სიტუაცია ხელსაყრელი იყო, ყაზახეთის მთავრობამ სახსრები დაზოგა ქვეყნის წიაღისეულიდან მიღებული ფულის ეროვნულ ფონდში მიმართვის მეშვეობით. 2007-2009 წლებში კრიზისთან ბრძოლის მიზნით ფონდიდან დაიხარჯა 10 მილიარდი დოლარი, დანარჩენი ფული შეინახეს და მისი მოცულობა გაიზარდა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ახლა სწორედ ის პერიოდი დგება, როდესაც საჭიროა აღნიშნული რეზერვების გამოყენება ხალხის კეთილდღეობისათვის, მოსალოდნელი კრიზისისგან თავის დასაცავად. ახალი ეკონომიკური პროგრამა „ნურლი ჟოლი“ უახლოეს წლებში გახდება ყაზახეთის ეკონომიკის ზრდის მამოძრავებელ ძალა. პრეზიდენტის თქმით, ყაზახეთი ააშენებს სატრანსპორტო ქსელს, რომლის შექმნის შემდეგ ასტანიდან ყველა მიმართულებით გაიშლება საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო მაგისტრალები. პროგრამის სხვა მნიშვნელოვანი პუნქტი იქნება ყაზახეთში საბინაო-კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რაზეც ყოველწლიურად 2020 წლამდე არანაკლებ 1 მილიარდი დოლარი გამოიყოფა. როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურა ამჟამად გაცვეთილია, ხოლო ზოგადი მოთხოვნილება ინვესტიციებში არანაკლებ 11 მილიარდ დოლარს შეადგენს.

პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ასევე გასცა დავალება დამატებით 387მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ ავარიული სკოლების პრობლემების გადასაჭრელად, ხოლო სკოლამდელ დაწესებულებებში ადგილების დეფიციტის კარდინალური შემცირების მიზნით – სამი წლის განმავლობაში 110 მილიონი დოლარის

გამოყოფის შესახებ. ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებას შეძლებენ ასევე ბიზნესმენები.

პრეზიდენტმა კონკრეტული პროექტების დაფინანსების დავალება გასცა. მაგალითად, 448 მილიონი დოლარი დაიხარჯება სპეციალური ეკონომიკური ზონების „ჰორგოს - აღმოსავლეთის კარიბჭე“, ეროვნული ინდუსტრიული ნავთობქიმიური ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე ქალაქებში ატირაუ და თარაზში. დაახლოებით 221 მილიონი დოლარი გამოიყოფა კომპლექს „ექსპო-2017“-ის მშენებლობაზე, ასტანის აეროპორტში კი ახალი ტერმინალის შექმნასა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლის რეკონსტრუქციაზე სახელმწიფო 160 მილიონ დოლარს გაიღებს. ეს ზომები შესაძლებელს გახდის 2017 წელს აეროპორტის გამტარუნარიანობის გაზრდას 10,1 მილიონ მგზავრამდე.

გარდა ამისა, საბანკო სექტორის გაჯანსაღებისა და „ცუდი“ კრედიტების გადახდის მიზნით, პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა დავალება გასცა 2015 წელს პრობლემური კრედიტების ფონდის 1 მილიარდ 380 მილიონი დოლარის ოდენობის დამატებითი კაპიტალით უზრუნველყოფის შესახებ. ეკონომიკის მხარდასაჭერად ეროვნული ფონდის რეზერვებიდან სახელმწიფო ყოველწლიურად დამატებით სამ მილიარდ დოლარს გამოყოფს.

მთავრობას მოუწევს ზომების მიღება ამ სახსრების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით. პრეზიდენტმა ასევე საბინაო სექტორის განვითარებისადმი მიდგომების გადახედვის მითითება მისცა. სახელმწიფო ააშენებს სოციალურ-საიჯარო საცხოვრებლებს და მოსახლეობას უზრუნველყოფს გრძელვადიანი იჯარით გამოსყიდვის უფლებით.

– ამ პროგრამას ახალგაზრდა ოჯახებისთვის და იმათთვის ვახორციელებთ, ვინც ნამდვილად არის გაჭირვებული, – თქვა სახელმწიფოს მეთაურმა. – ახალი პროგრამით საცხოვრებლის მიწოდება განხორციელდება პირდაპირი წესით, შუამავლების გარეშე, მაქსიმალურად დაბალი პროცენტებით. პირველადი შენატანის არარსებობა, იპოთეკაზე დაბალი პროცენტები საცხოვრისს უფრო მისაწვდომს გახდის ყაზახების ფართო ფენებისთვის. ნურსულთან ნაზარბაევმა აღნიშნა, რომ მომდევნო წელს მთავრობასა და აკიმებს (ოლქების ხელმძღვანელებს) დაეკისრებათ უზარმაზარი პასუხისმგებლობა. პრეზიდენტმა მოუწოდა, იმუშაონ ისე, რომ „მტვრის კორიანტელი იდგეს“. როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, დასმული ამოცანების რეალიზაცია შესაძლებელს გახდის ხელფასებისა და პენსიების ოდენობის შემცირების თავიდან აცილებას. ყოველივე ზემოხსენებული დაეხმარება გამოსვლას კრიზისული პერიოდიდან, რომელიც ადრე თუ გვიან დასრულდება.

– ეროვნული ფონდიდან ინვესტიციებს თან აუცილებლობა უნდა ახლდეს შესაბამისი სფეროების სტრუქტურული რეფორმები – განაცხადა პრეზიდენტმა. – ამისათვის საჭიროა, ვუზრუნველყოთ პროექტების საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან ერთობლივი რეალიზაცია. მაგალითად, მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომლებთანაც მთავრობამ სრულად აწარმოა მოლაპარაკებები, უკვე მზად არიან, გამოყონ დაახლოებით 9 მილიარდი დოლარის ოდენობის თანხა 90 პროექტისთვის. საერთო ჯამში, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფულის გათვალისწინებით, გამოდის, რომ 24 მილიარდი დოლარი მიმართული იქნება ინფრასტრუქტურისა და გზების მშენებლობის პროგრამის რეალიზაციაზე. ასეთი მასშტაბური პროექტი ქვეყანაში არასდროს ყოფილა. საჭიროა ამ თანხების ათვისება და მუშაობა. რამდენი ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება! ხალხს შემოსავალი ექნება, ეკონომიკა გაიზრდება და მასთან ერთად გაიზრდება ადამიანების კეთილდღეობა.

გაისად ქვეყანა აღნიშნავს ყაზახეთის კონსტიტუციისა და სახალხო ასამბლეის 20 წლისთავს. ხალხისადმი მიმართვაში პრეზიდენტმა მოუწოდა, რომ ამ თარიღების აღნიშვნისას სულიერად უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ ყაზახელები, გავხადოთ ერთიანები, უფრო მეტად ტოლერანტულები. ნურსულთან ნაზარბაევი დარწმუნებულია, რომ ისტორიის პასუხისმგებელ ეტაპზე ახალ ჟღერადობას, უფრო ღრმა შინაარსს შეიძენს მთავარი პრინციპი „ყაზახეთო - მხოლოდ წინ!

ნურსულთან ნაზარბაევმა ასევე მიმართა ახალგაზრდობას, რომლის წინაც სახელმწიფომ ყველა კარი გააღო.

– სტაბილურობა და თანხმობა – ეს არის მშობლების ჯანმრთელობა და ბავშვების ბედნიერება! – განაცხადა პრეზიდენტმა. – დღევანდელ ახალგაზრდობას არ უნახავს ეროვნებათშორისი ომები და კონფლიქტები, 90-იანი წლების ნგრევა. სტაბილურობას და კომფორტულ ცხოვრებას ყაზახეთში მრავალი აღიქვამს, როგორც დაბადებიდან კუთვნილს. ახალგაზრდობა – ჩვენი მომავლის საყრდენია! „ნურლი ჟოლ – გზა მომავლისკენ“ არის პროგრამა, რომელშიც ჩვენს კრეატიულ და დინამიურ ახალგაზრდობას შეუძლია თავისი ძალისხმევისა და ინიციატივის გამოყენება.

ზაზა მეზვრიშვილი

◎ კაკალ გულში

● **გამოართვით ეგ ვეტო ვინმემ, ფეხში არ მოირტყას!**

● **„მოსმენების კანონთან“ დაკავშირებული პერიპეტიების მეთვალყურეს: გულწრფელად მაინტერესებს, ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, ე.წ. საპარლამენტო უმცირესობა, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკური პარტია, არასამთავრობო ორგანიზაციები, არასაპარლამენტო ოპოზიცია, მეოცნებე ამხანაგები: ჩაფიძე, კიღურაძე, მირონაძე და სხვანი, მართლაც თვლიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ქვეყნის და ამ ქვეყნის მოქალაქების მტერია?!**

და თუ ეს ასეა, კანონზე ხმის მიცემა-არმიცემა შველის საქმეს?!.

● **საერთოდ აღარ მეცოდება უკრაინა. 60 მილიონიანი ერი, საიდანაც 10 მილიონი ემიგრანტია, ნაცბანდას რომ ჩაიყვანს ქვეყნის სამართავად, არაა არსებობის ღირსი ნაღდად. მაგრად ვბალეშიკობდი უკრაინას. აწი კისერი უტეხიათ. დაგიწყვეტიათ ერთმანეთი!**

● **ნაცნობი სიტუაციაა... ნელა-ნელა უწევენ ტემპერატურას, მოვლენები უკვე 6-7 თვეზე მეტია ერთიანი სცენარის ჩარჩოში ვითარდება... თებერვლის**

წარსულოვანი ფრაზები

ბოლოსკენ უნდა ველოდოთ კვანძის გახსნას... და აქამდე ვითომ რომ ვერ ამჩნევდნენ რაღაცებს, უცბად გამოვლენ დემოკრატიული პრინციპების დასაცავად ბარიკადებზე ... არ ხართ თქვენ კარგი ხალხი პატივცემულებო! ასეთია ჩემი კომენტარი...

● **ასო-ებო (არასამთავრობო ორგანიზაციებო), თქვით ბარემ ამ თემაზე რამდენი დაგრჩათ ასათვისებელი საგრანტო თანხა და თქვენც მოისვენებთ და ჩვენც...**

● **ამის დედა ვატირე, ჩვენც ავდგეთ და პირდაპირ პუტინი ჩამოვიყვანოთ პრემიერად, მაინც შეკრულ მთავრობას ეძახიან და ეგებ ჩვენც გვეშველოს და მსოფლიომაც დაისვენოს აღშფოთებისგან, ჟირინოვსკი სულაც კახეთის გუბერნატორად გავუშვათ...**

● **უკრაინაში 5 ნომერი მარშუტკა დაინიშნა უკვე?**

● **განათლების მინისტრს 2014 წლის დეკლარაციაში მითითებული აქვს, რომ შეიძინა 2590 ლარის ავეჯი. იქვე ამბობს, რომ ბინა არ აქვს თბილისში...რა**

ტრიუკებს გვიტარებს ეს მასხარა, ამ ავეჯში ამდენ ფულს რომ იხდის, სად დგამს, თუ სახლი არა აქვს? რა გვარს აფუჭებს თამარ სანიკიძე, აფსუს!

● **კაი,ნაცები უკრაინაში გადაბარგდნენ და ახლა იქაურობას ღუპავენ. ქოცები რომ წავლენ, სად გადაბარგდებიან, ვისი დაღუპვის ჯერი დგება?**

თუ ესენი სხვის გაუბედურებასაც ვერ გაქაჩავენ? ამასაც ნიჭი უნდა, ძმაო, ნიჭი!

● **აუცილებლად უნდა დავწერო ახლა ის საოცარი ტენდენცია, რომელიც აღმოვაჩინე ბოლო დროს...ბოკლედ, პოლიტაქტივისტებთან, პოლიტიკოსებთან (გეგონება, რამეს წარმოადგენდნენ სინამდვილეში), ზოგიერთები აბამენ რომანს... „იგულავებენ“ რაღაც პერიოდი ერთმანეთთან, ძირითადად სამსახურის დაპირების მოტივაციით და...რომ მიაგდებენ ამათ, ესენი მერე ჟურნალისტებს მოგვმართავენ დახმარებისთვის, რომ შურისძიებაში დავეხმაროთ..**

სანამ სახელებს და გვარებს დავასახელებდე, ან იმ კონკრეტული პოლიტიკანების ვინაობას გავაჟღერებდე, ვისთანაც „ბორობთ“, დაახვიეთ აქედან...

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ალიანჩალიანი

დევნილთა სამინისტროს თანამშრომელმა ქრთამი აიღო

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე დევნილთა და განსახლების სამინისტროს ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი მერაბ გოქსაძე დააკავა. საგამოძიებო სამსახურმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გააადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად ჩაატარა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მოქალაქისგან მისთვის სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ გადაცემაში, დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 1000 აშშ დოლარი აიღო. ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 11 წლამდე ვადით.

ინტერპრესი

„შეიარაღებული ჯგუფი ჩრდილოეთ კავკასიიდან არ შემოსულა“

ლაფანყურის სპეცოპერაციის დეტალებზე, სკანდალური დასკვნა გამოაქვეყნა სახალხო დამცველთან არსებულმა საზოგადოებრივმა საბჭომ. 100-გვერდიანი დასკვნის მიხედვით, **ხელისუფლების ოფიციალური ინფორმაცია, რომ შეიარაღებული დაჯგუფება საქართველოში ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოვიდა, სიმართლეს არ შეესაბამება.** შეიარაღებული ჯგუფი შემოვიდა სხვა მხრიდან და ეს ცხადი ხდება იმ მასალებიდან, რომელიც სახალხო დამცველს გადაეცა.

უჩა ნანუაშვილის ინფორმაციით, **სპეცოპერაციის დროს დაღუპულებისთვის სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩაუტარებიათ.** მისივე განმარტებით, არსებობს მტკიცებულებები, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციის ოფიციალურ ვერსიას გამორიცხავს.

დოკუმენტი, რომელიც სახალხო დამცველმა ანგარიშის სახით წარადგინა, წელიწად-ნახევრის განმავლობაში, დამოუკიდებლად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით მომზადდა. კვლევა, ომბუდსმენის აპარატის ინიციატივით გაიმართა და მასში 12 დამოუკიდებელი ექსპერტი მონაწილეობდა. სახალხო დამცველისათვის გადაცემული **მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ შესაძლოა, იკვეთებოდეს ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო და არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტები.**

სახალხო დამცველის აპარატმა და სახალხო დამცველთან შექმნილმა საზოგადოებრივმა საბჭომ გამოკვეთა ისეთი საკითხები, რაზეც პასუხი, წესით, გამოძიებამ უნდა გასცეს. კვლევის პერიოდში გადამოწმდა არაერთი ფაქტი, მოხდა კონკრეტული ფაქტების დოკუმენტირება. თუმცა, ამის მიუხედავად, საბჭოს არა აქვს კონკრეტული ვერსია, თუ რა მოხდა ორი წლის წინათ ლოპოტას ხეობაში, რადგან ეს არის შსს-ს და პროკურატურის ფუნქცია, მაგრამ საბჭო კონკრეტულ დასკვნებამდე მივიდა. მაგალითად, ის, თუ **რატომ განსხვავდება უკანონო შეიარაღებული ჯგუფის გარდაცვლილი წევრების რაოდენობის შესახებ თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაცია (11 პირის შესახებ) ამჟამად არსებული მონაცემებისგან (საუბარია 7 პირზე).** თუნდაც ის, რომ შეიარაღებული ჯგუფი არ შემოსულა ჩრდიელოთ კავკასიიდან, უკვე დადასტურებულია. ასევე კითხვებს ბადებს, რატომ ასაიდუმლოებდა საქართველოს ხელისუფლება უკანონო შეიარაღებულ ჯგუფის წევრებს შორის საქართველოს მოქალაქეების ყოფნას, მაშინ, როცა დადასტურებულია, რომ სპეცოპერაციის ჩატარებამდე სამართალდაცავი ორგანოებისთვის ცნობილი იყო ჯგუფის წევრების უმრავლესობის ვინაობა.

სახალხო დამცველი მიმართავს პარლამენტს, რათა საკანონმდებლო ორგანომ მიმართოს პროკურატურას მოთხოვნით, დაიწყოს გამოძიება. **უჩა ნანუაშვილის განცხადებით, პროკურატურა დღემდე არ ასრულებს პარლამენტის ორ დადგენილებას, რომელიც ამ საქმის გამოძიებას ეხებოდა.** კვალიფიკაცია კვლავ არ არის შეცვლილი და გამოძიება მხოლოდ მძევლად ხელში ჩაგდების მუხლით მიმდინარეობს და არა იმ შესაძლო დანაშაულებებზე, რომელთაც რეალურად ადგილი ჰქონდა ლოპოტას ხეობაში.

„საგამოძიებო ორგანოებისადმი მთავარი მიმართვა არის ის, რომ ეს გამოძიება არ არის ეფექტური და გაჭიანურებულია. კიდევ ერთი დარღვევა გახლავთ ის, რომ საქმის კვალიფიკაცია დღემდე შეცვლილი არ არის და გამოძიება მხოლოდ მძევლების ხელში ჩაგდების მუხლით მიმდინარეობს. ის, რომ თუნდაც შეიარაღებული ჯგუფი არ შემოსულა ჩრდილოეთ კავკასიიდან, ეს უკვე ჩვენთვის ფაქტია იმ მასალებიდან, რომელიც გადმოგვეცა. გარდა ამისა, არც ერთ გარდაცვლილს, როგორც შეიარაღებული ჯგუფიდან, ასევე სამართალდამცველთა მხრიდან, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებია, ხოლო ექსჰუმაციის შედეგები გარდაცვლილთა ოჯახებისთვის არ არის ცნობილი“, — აცხადებს უჩა ნანუაშვილი.

საზოგადოებრივი საბჭოს აზრით, მნიშვნელოვანია პარლამენტმა მთავარი პროკურატურისგან მოითხოვოს შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა — **რა საფუძვლით აწარმოებს გამოძიებას შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტი და რატომ არ ხდება მთავარი პროკურატურის მიერ საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, საქმის ამოღება შსს-ს დაქვემდებარებიდან; რა ეტაპზეა გამოძიება და რატომ ჭიანურდება საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება; რატომ არ ენიჭებათ სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს დაზარალებულის სტატუსი და რატომ არ მიეწოდებათ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.**

კვლევის მიხედვით დასტურდება, რომ შეიარაღებული ჯგუფის შვიდი დაღუპულიდან ხუთი — ასლან მარგოშვილი, დუკვახა დოშუევი, ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი, სალამ ზაურბეკოვი და ჯაბრაილ ხაშიევი 2012 წლის 28-29 აგვისტოს საქართველოში იმყოფებოდნენ. ასლან მარგოშვილი 2011 წლის სექტემბერში წავიდა საქართველოდან ფინეთში, ხოლო თვენახევრის შემდეგ გადავიდა სლოვაკეთში. 2011 წლიდან 2012 წლის აგვისტომდე ასლან მარგოშვილი ოჯახის წევრებს უკავშირდებოდა ელექტრონული ფოსტის და სოციალური ქსელების საშუალებით, ასევე, მობილური ტელეფონით, უცხოური ნომრიდან. მხოლოდ სპეცოპერაციის ჩატარების შემდეგ გახდა ოჯახისთვის ცნობილი, რომ ასლან მარგოშვილი საქართველოს ტერიტორიაზე დაბრუნდა 2012 წლის 13 მარტს.

მარგოშვილის მამის, მერაბ მარგოშვილის განცხადებით, შს სამინისტროში ნაცნობებისგან გაიგო, რომ სასაზღვრო პოლიციას წაშლილი აქვს მონაცემები და ასლან მარგოშვილის საქართველოში შემოსვლის თარიღი ამის გამო სასაზღვრო მონაკვეთი, საიდანაც იგი საქართველოში შემოვიდა, აღარ ფიქსირდება. შსს-ს მიერ საქართველოს სახალხო დამცველისათვის მოწოდებული ინფორმაციით, მარგოშვილმა საქართველოს ტერიტორია 2011 წლის 9 სექტემბერს სარფის გავლით დატოვა. სხვა დროს მის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა ოფიციალურად არ ფიქსირდება. თუმცა, სახალხო დამცველს მიაწოდეს ლაფანყურის სპეცოპერაციისას გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის სახელზე, შსს-ს მიერ 2012 წლის 23 ივლისს, 10:37:55 საათზე, გაცემული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა, სტეჩკინის სისტემის (APS, იარაღის ნომერი GB 3638) ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლებით, (იარაღის) რეგისტრაციის თარიღია — 13.07.2012 წელი, მაშინ როცა შსს-ს ზემოთ აღნიშნული მონაცემებით, ასლან მარგოშვილი ამ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა.

ოჯახის წევრების განცხადებით, განადგურებულია ასლან მარგოშვილის მონაცემები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მიუხედავად იმისა, რომ ის სამშენებლო ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი იყო.

რაც შეეხება რუსეთის მოქალაქე ბაჰაუდინ ბაღაკაშვილს, ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში 2012 წლის 1 ივლისს შემოვიდა, ხოლო საქართველო 2012 წლის 3 ივლისს ყაზბეგის გამშვები პუნქტის გავლით დატოვა. 2012 წლის 2 ივლისს სარფის გავლით დატოვა საქართველო დუკვახა დოშუევმა. სპეცოპრეაციამდე გავიდნენ საქართველოდან რუსეთის მოქალაქეები სალამ ზაურბეკოვი და ჯაბრაილ ხაშიევი. რაც შეეხება ბაჰაუდინ ქავთარაშვილს, ის საქართველოდან საერთოდ არ გასულა. ქავთარაშვილის დედის ასმათ ქავთარაშვილის განცხადებით, მისი შვილი მეგობრობდა ბაჰაუდინ ბაღაკაშვილთან, რომელიც ოჯახთან ერთად ავსტრიაში ცხოვრობდა და სტუმრად ჩამოდიოდა დუისში ნათესავებთან.

მიუხედავად საზოგადოების მაღალი ინტერესისა, გამოძიება კვლავ დუმილს ინარჩუნებს.

საზოგადოებრივი საბჭოს წევრი ლია მუხაშავრია თვლის, რომ არსებობს გარკვეული ვარაუდი, რომ გამოძიება არ არის ობიექტური, რადგან ინსტიტუციურად ის კვლავ შსს უწყების ქვეშ არის. მისი თქმით, არ შეიძლება შს სამინისტრო იძიებდეს საკუთარი წარუმატებელი დანაშაულებრივი ოპერაციის შედეგებს.

„საკითხის ასე რადიკალურად დაყენებით და სახალხო დამცველის მეშვეობით, ჩვენ ვფიქრობთ გავააქტიურებთ გამოძიებას და მივაღწევთ, რომ საზოგადოებამ იცოდეს, რა ოპერაცია ჩატარდა. პარლამენტს მივმართავთ, რათა საკომიტეტო განხილვების საკითხად აქციოს თემა და გამოძიება დაექვემდებაროს მთავარ პროკურატურას“, — განაცხადა ლია მუხაშავრიამ.

სახალხო დამცველთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის წარდგინებას დაესწრო პროკურატურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ვალერი ბორცვაძე.

„ანგარიშს პროკურატურა გაეცნობა და თუ მასში რაიმე ფაქტობრივი გარემოებები აღმოჩნდება, ის საქმეზე აუცილებლად დამაგრდება შესაბამისი საპროცესო წესით. რაც შეეხება საზოგადოებრივი საბჭოს განცხადებას, რომ საქმეს დღემდე კონტრდაზვერვის დეპარტამენტი იძიებს და ის პროკურატურას არ გადასცემია, ეს არგუმენტები ჩემთვის გაუგებარია. ამის შესახებ გადაწყვეტილებას არ იღებს ზედამხედველი პროკურორი. ეს არის მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის გადასაწყვეტი“, — განაცხადა ვალერი ბორცვაძემ.

გამოძიებასთან კითხვები აქვს უშიშროების საბჭოს მდივანს **ირინა იმერლიშვილს** და იმედი აქვს, რომ სახალხო დამცველის ანგარიში გამოძიების დაჩქარებას შეუწყობს ხელს. მისივე თქმით, თავის დროზე, ამ საქმეზე გრიფის დადება აუცილებელი იყო. როგორც იმერლიშვილმა აღნიშნა, დეტალებზე ვერ ისაუბრებს, თუ რა ნაწილზე უნდა მოიხსნას გრიფი და რაზე უნდა დარჩეს, რადგან საგამოძიებო მასალებს არ იცნობს.

„გარკვეულწილად, მეც მაქვს კითხვები, რატომ ჭიანურდება ამდენ ხანს გამოძიება, თუმცა, პროკურატურის წარმომადგენელმა თქვა, რომ აღნიშნულ ანგარიშს დეტალურად გაეცნობიან და თუ იქნება შესაძლებლობა, საქმეს ანგარიში მტკიცებულებად დაერთვება. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ანგარიში ხელს შეუწყობს გამოძიების ღიად და დროულად წარმართვას, ვინაიდან აღნიშნული საქმე არის გრიფით საიდუმლო, პროკურატურა ყველა დეტალზე ვერ საუბრობს, ვერ საუბრობს იმაზე, თუ რატომ გრძელდება ამდენ ხანს გამოძიება, თუმცა მეც მაქვს შეკითხვები და ვთხოვ მთავარ პროკურატურას, რომ რაც შეიძლება სწრაფად, იმ ფარგლებში რასაც გამოძიება მოითხოვს, შუალედური ანგარიში მაინც იყოს წარმოდგენილი იმაზე, თუ რა ეტაპზეა გამოძიება“, — განაცხადა ირინა იმერლიშვილმა.

ნაციონალური მოძრაობის წევრი **დავით დარჩიაშვილი** მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველი ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ გაკეთებული განცხადებით კრემლს ეხმარება, რომ საერთაშორისო დონეზე საქართველოს ნიშანი მოუგოს. დარჩიაშვილი ამბობს, რომ ანგარიში, რომელიც სახალხო დამცველთან არსებულმა საზოგადოებრივმა საბჭომ წარადგინა, რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესებს ემსახურება.

„ის, რაც მან გააჟღერა კარგად აჩვენებს, რატომ შეიძლება იყოს მისი ასეთი დიდი ინტერესი. იგი ხაზს უსვამს, რომ ჩეჩნეთა შეიარაღებული ჯგუფი, რომლის წინააღმდეგაც სპეცოპერაცია განხორციელდა ქართველი სპეცსამსახურების მიერ, რუსეთიდან არ იყოს შემოსული. ამით რისი თქმა უნდა, რომ ესე იგი საქართველოდან მიდიოდა რუსეთში, რომ მერე რუსებს ერთი ამბავი აეტეხათ, რომ საქართველო ტერორისტებს უგზავნის ტერიტორიაზე?

ამ განცხადებით კრემლს ეხმარება, რომ საერთაშორისო დონეზე საქართველოს ნიშნი მოუგოს? ამით უნდა იყოს სახალხო დამცველი დაკავებული? მეტი ფუნქცია, მეტი ინტერესი, გნებავთ, ისევ ციხეებში მდგომარეობა და ა.შ. არ აქვს? სახალხო დამცველის, მაინცდამაინც, ამ თემით პოლიტიკური შეფასებების ფარგლებში დაინტერესება აჩვენებს, რომ ეს ანგარიში ემსახურება რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესებს“, — აცხადებს დავით დარჩიაშვილი.

თამთა ქარჩავა

◎ ალიანჩალიანი

ქართველმა სამხედროებმა ბრიტანულ სწავლებაში მიიღეს მონაწილეობა

გუშინ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს უელსში გამართული წვრთნის ამსახველი ფოტომასალა გადაეცა. საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა ბრიტანულ სწავლებაში პირველად მიიღეს მონაწილეობა. CAMBRIAN PATROL უელსის 160-ე ბრიგადის ორგანიზებით გაიმართა.

რვა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ რთულ კლიმატურ და გეოგრაფიულ პირობებში ორმოცდაათი კილომეტრის მანძილი დაფარა. მსგავს სწავლებებში ქართველების მონაწილეობა მომავალშიც იგეგმება. CAMBRIAN PATROL ორმოცდაათი წელია, ტარდება. სწავლება შვიდ ფაზად მიმდინარეობს. ფოტომასალა საქართველოში დიდი ბრიტანეთის სამხედრო ატაშემ, ვიცე-პოლკოვნიკმა ნიკ ვილკესმა გენერალური შტაბის უფროსის მოადგილეს, პოლკოვნიკ რომან ჯოხაძესა და G-2 დაზვერვის დეპარტამენტის უფროსს, პოლკოვნიკ გიორგი კვირიკაშვილს გადასცა.

„XXI საუკუნის მონა ! სტაჟიორი“

ამ სახელწოდებით რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანასა და სტაჟირების ანაზღაურებას მოითხოვდნენ. აქცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ ორგანიზებით მოეწყო. მათი თქმით, სტაჟირება შრომით ურთიერთობად და შესაბამისად სამუშაო გამოცდილება უნდა იქნეს მიჩნეული.

„სტაჟიორის ცნებას დღევანდელი შრომის კოდექსი საერთოდ არ იცნობს, ეს ადამიანები არიან შრომის ბაზარზე არალეგალურად დასაქმებულები. სტაჟიორები რეალურად დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებენ, თუმცა ეს სამუშაო გამოცდილებაში არ ეთვლებათ. როდესაც ისინი კერძო სტრუქტურებში მიდიან დასასაქმებლად მათ სამუშაო გამოცდილებას სთხოვენ, რაც რეალურად მათ არ გააჩნიათ. შეაბამისად, ვფიქრობთ, რომ სტაჟირება უტოლდება მონურ შრომას და მუშაობას“, — აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მოსმენები სტრასბურგამდე მიგვიყვანს

მმართველმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო, დაეძლია პრეზიდენტის ვეტო რეზონანსულ კანონზე მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ, რითაც ძალაში დატოვა ვარიანტი, რომლის მიხედვითაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ინარჩუნებს შესაძლებლობას ტექნიკურად მიაღწიოს მობილური ოპერატორების ქსელებამდე. მიუხედავად კანონის ძალაში შესვლისა, არაკომერციული ორგანიზაციები და გავლენიანი ადვოკატები აპირებენ, მიმართონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, შემდეგ კი ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოსაც.

პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო მოსმენების შესახებ კანონზე დაძლია აუცილებელი მინიმუმით – 76 ხმით 13-ის წინააღმდეგ. ამისთვის პარლამენტის უმრავლესობას მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მოუწია, გამოეცხადებინა ნამდვილი მობილიზაცია. **„ამჟამად დარბაზში არის ყველა დეპუტატი, რომელიც მხარს უჭერს ჩვენს კანონპროექტს“,** – განაცხადა დებატების დროს უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ.

თავდაპირველად პარლამენტის წევრები ხმას აძლევდნენ ალტერნატიულ ვარიანტს, რომელიც პრეზიდენტის მიერ იყო ინიციირებული. როდესაც დაადო ვეტო კანონს, რომელიც მიღებული იყო 27 ნოემბერს, გიორგი მარგველაშვილმა წამოაყენა წინადადება – ტექნიკური შეღწევის უფლება მობილური ოპერატორების ქსელებში გადაეცეს სასამართლო ინსტანციას. პრეზიდენტის ვარიანტის თანახმად, სასამართლო გასცემს შინაგან საქმეთა სამინისტროზე იურიდიულ ნებართვას მოსმენაზე, და მოსამართლე თავად „ატრიალებს გასაღებს“, ხსნის სისტემაში ტექნიკური შეღწევის ხაზს. მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის წინადადებამ ვერ მიიღო ხმების საკმარისი რაოდენობა.

საქართველოს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუტოვა შესაძლებლობა მოუსმინოს მოქალაქეთა სატელეფონო საუბრებს

შემდეგ კვლავ დაისვა კენჭისყრაზე კანონი, რომელიც მოამზადეს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებმა. რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც შედის მმართველ კოალიციაში, ხმა მისცა წინააღმდეგ. **„ჩვენ მხარს ვუჭერდით იურიდიული კომიტეტის პროექტს, რომლის თანახმადაც გასაღები უნდა გადაეცათ კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის“,** – განაცხადა ჩვენთან საუბარში რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელმა ლევან ბერძენიშვილმა.

ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლებმა კი მისი პარტიიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა საერთოდ არ მიიღეს მონაწილეობა კენჭისყრაში. დეპუტატმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, რომ მათი პარტია მხარს არ უჭერს პარლამენტის მიერ შემოთავაზებულ არც ერთ ვარიანტს. „ჩვენთვის მახლობელია მხოლოდ არაკომერციული ორგანიზაციების წინადადება გასაღების მობილური კავშირის ოპერატორებისთვის გადაცემის შესახებ, და სხვისთვის არავისთვის“, – განუმარტა დეპუტატმა ჩვენს გაზეთს.

სხვათა შორის, არაკომერციული ორგანიზაციების წინადადება უარყო მმართველმა კოალიციამ, როგორც მიუღებელი სახელმწიფო უშიშროების თვალსაზრისით.

„სამი ქართული მობილური ოპერატორიდან ერთი ეკუთვნის რუსულ კომპანიას, მეორე – თურქულს, მესამე – ამერიკულს, – განმარტა ჩვენთან საუბარში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა. – ტელეფონებით საუბრების მოსმენის გასაღების გადაცემა ნიშნავს იმას, რომ მათ შეეღწიათ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფო საიდუმლოებებში“.

შედეგად ვეტოს დაძლევის შემდეგ ძალაში დარჩა კანონი, რომელიც 27 ნოემბერს იქნა მიღებული: მობილური ოპერატორების ქსელებში ტექნიკური შეღწევა (გასაღები) დარჩა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენა კი სასამართლოს სანქციით სახელმწიფო სამსახურებს შეუძლიათ პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის კონტროლის ქვეშ – იგია სამთავრობო ჩინოვნიკი, რომელსაც პრემიერი ნიშნავს.

არაკომერციულ ორგანიზაციებს ეს ვარიანტი ხელს არ აძლევს. მათ განაცხადეს საპროტესტო აქციების განახლების შესახებ ლოზუნგით „ჩვენ კვლავ გვისმენენ!“ და მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით, აღიაროს კანონი „ადამიანის უფლებათა დარღვევად“, ესე იგი, ანტიკონსტიტუციურად.

ამას გარდა, ცნობილ ადვოკატს ლია მუხაშავრიას, რომელიც ალტერნატიულ ვარიანტებზე მუშაობდა, განზრახული აქვს, შეიტანოს სარჩელი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოშიც.

Коммерсантъ

◎ SIC!

მოსამართლის თუ განსასჯელის სკამი?

(მეხუთე გვერდიდან)

თამარ მეშველიანი – კუბლაშვილთან დაახლოებული მოსამართლე. მისი მეუღლის ნათესავი – ბესიკ ბუგიანიშვილი და მისი ძმა – ვალერი ბუგიანიშვილი (ასევე, მოსამართლე) კუბლაშვილთან დაახლოებული პირები არიან ტყიბულიდან. ამავდროულად, ბუგიანიშვილები ტყიბულელ იური ტყეშელაშვილის (უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე) ნათესავები არიან, რომლის შვილი – ირინა ტყეშელაშვილიც თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეა. ამდენად, ადვოკატების თქმით, თამარ მეშველიანს ყველაზე დიდი შანსი აქვს, დაინიშნოს მოსამართლედ.

ივანე ღლონტი – ჯერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში მუშაობდა, ახლა ქვემო ქართლში მუშაობს ადვოკატების თქმით, იგი სამართლიანი სასამართლოს უფლებას უსპობდა ავადმყოფ პატიმრებს სააკაშვილის ზეობის დროს. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ერთ ფაქტს იხსენებს, როცა 2009 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოხდა სასწაული და მან მოიგო სასამართლო პროცესი სახელმწიფო ჩინოსნის წინააღმდეგ. **„ვინაიდან გახლავართ წინდახედული ადვოკატი და ვიცი, საქართველოს სასამართლო სისტემის რობოტიზაცია, სასამართლოს მოვთხოვე სარეზოლუციო ნაწილის გადმოცემა, სადაც დაფიქსირდა ჩემს მიერ სასამართლო პროცესის მოგება. როდესაც მოვინდომე გადაწყვეტილების აღსრულება, მოსამართლეებმა ჯუმბერ რუსიაშვილმა, ივანე ღლონტმა და ირაკლი შენგელიამ შეცვალეს გადაწყვეტილება და მხარეს წაართვეს დაახლოებით 30 000 ლარის მიღების კანონიერი უფლება. ამ მოსამართლეებმა ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული და გააყალბეს გადაწყვეტილება სახელმწიფო უწყების სასარგებლოდ. ისმის კითხვა, მოსამართლემ თავისი ნებით შეცვალა გადაწყვეტილება და ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული? რა თქმა უნდა, – არა. დღესავით ნათელია, რომ უზენესი სასამართლოს ან უფრო მაღალი თანამდებობის პირის ზეწოლის გარეშე, მოსამართლეთა სამეული ამას ვერ გააკეთებდა“,** – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

ლაშა კალანდაძე – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე, ასევე, იხილავდა სისხლის სამართლის საქმეებს. მის მიერ განხილულ საქმეთა შორის აღნიშვნის ღირსია **პაატა როსტომაშვილის** საქმე, რომელსაც მკვლელობისთვის 16 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, მაშინ როცა მის საქმეში არანაირი მტკიცებულებები არ არსებობდა და ის გაასამართლეს ჩაუდენელი დანაშაულისთვის. ასევეა, **დავით და მიხეილ მაჭარაშვილების** სისხლის სამართლის საქმე, ეს საქმეები ამჟამად სტრასბურგშია და სტრასბურგმა საქართველოს მთავრობის მიმართ დასვა ლეგიტიმური კითხვები ამ განაჩენთან დაკავშირებით. როგორც ამბობენ, ლაშა კალანდაძე ადეიშვილთან დაახლოებული პირი იყო და, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, კუბლაშვილის ერთგულების ნიშნით მონაწილეობდა სხვა მოსამართლეების დანიშვნაში.

ია ბარამიძე – მას მოსამართლეობის დიდი შანსი აქვს, რადგან ლობირებს ნაცმოძრაობა და მის სახელსა და გვარს აქტიურად იყენებს, თითქოს ახალი ხელისუფლება დევნის მოსამართლეებს. სწორედ ია ბარამიძემ დაწერა მოხსენებითი ბარათი კუბლაშვილის სახელზე, თითქოს პირადი ცხოვრების ინფორმაციის გამჟღავნებით, მასზე ზეწოლას ახდენდნენ პროკურორები და შსს-ს თანამშრომლები და მოსამართლეებზე ინფორმაციას სთხოვდნენ.

ეკატერინე კულულაშვილი – საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილი – ზაზა მეიშვილის და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის – ლია ორკოდაშვილის ნათესავი. სწორედ ლია ორკოდაშვილის დისშვილია ზაზა მეიშვილი, ფაქტობრივად, ეს არის ერთი სანათესაო. ამიტომ, ადვოკატების თქმით, კულულაშვილს დიდი შანსი აქვს, გახდეს მოსამართლე.

მიხეილ ბეგბიაშვილი – 2010 წელს სწორედ მან განიხილა ტერაქტების ორგანიზებაში მხილებულ **მერაბ ყოლბაიას** (მეტსახელად „კოჭოიას“) და **გოგიტა არქანიას** საქმე, რომლებსაც ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილის თქმით, წამების შემდეგ აღიარებით ჩვენებაზე მოაწერინეს ხელი. **„ყოლბაიას ფეხებში ესროლეს და შემდეგ ნატყვიარში კალამს ურჭობდნენ. სად ჰქონდა წაკითხვის თავი, ისე მოაწერა ხელი“,** – აღნიშნა ბრალდებულის ადვოკატმა. ამის მიუხედავად, მიხეილ ბეგბიაშვილმა ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, 7 მსჯავრდებულს 20-დან 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

უფლებადამცველ ნანა კაკაბაძის განცხადებით, ე.წ „კოჭოიას“ საქმეს აუცილებლად უნდა მოეხსნას გრიფი საიდუმლო, რადგან „კოჭოიას“ საქმეში ბრალდებული პირები შეთითხნილი შავი პიარის მსხვერპლნი არიან.

ლეილა მამულაშვილი – ადვოკატების თქმით, იგი ნაცმოძრაობის ინტერესებს ჯერ კიდევ მათ ხელისუფლებაში მოსვლამდე იცავდა. 2013 წელს ლეილა მამულაშვილის მიერ გამოტანილი განაჩენი განსჯის საგნად იქცა. როგორც „ეროვნული ფრონტის“ ლიდერები იუწყებიან, ლეილა მამულაშვილმა 1992 წლის 3 იანვარს მშვიდობიანი მიტინგის დროს დახვრეტილი 21 წლის **გივი რეხვიაშვილის** დედას მორალური ზიანის კომპენსაციად მხოლოდ 500 ლარი არგუნა და ამ განაჩენით 21 წლის სტუდენტი ბიჭის სიცოცხლე მხოლოდ 500 ლარად შეაფასა.

იგივე ითქმის მოსამართლე **მანანა ჩოხელაზეც,** რომელმაც 2012 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოში ძალაში დატოვა გადაწყვეტილება სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, იმჟამად გერმანიის მოქალაქე – **ბიძინა გიორგობიანის** 952 ათასი ლარით დაჯარიმებისა და საქველმოქმედო ფონდ **„ქომაგის“** (ია მეტრეველის) ანგარიშების დაყადაღებასთან დაკავშირებით, რაც ნაციონალების ინტერესში შედიოდა. ამას წინ უსწრებდა კონტროლის პალატის სადამსჯელო ოპერაცია, რომელმაც დაყადაღა საქველმოქმედო ფონდ „ქომაგის“ საბანკო ანგარიშები, რადგან ის მიიჩნია „ქართულ ოცნებასთან“ კავშირში მყოფ ორგანიზაციად. გარდა ამისა, ფონდ „ქომაგისთვის“ 90 ათასი ევროს გადარიცხვის გამო 900 ათასი ევროს ექვივალენტი ლარით დააჯარიმეს ბიძინა გიორგობიანი.

მარიამ ლოლაშვილი

დედამიწის ზურგზე

ნორვეგიამ გამოაქვეყნა ვიდეო რუსულ გამანადგურებელ მიგ-31-ის აგრესიული მანევრების შესახებ

ვიდეოჩანაწერი გაკეთდა ნორვეგიული თვითმფრინავის პილოტის კაბინიდან, რომელიც გაფრინდა მიგ-31-ისთვის ხელის შესაშლელად. ჩანაწერში მოჩანს, თუ რუსული თვითმფრინავი მოულოდნელად როგორ უახლოვდება ნორვეგიულს და უჭრის მას გზას. „ეს რა ჯანდაბაა“,– უკეთებს კომენტარს რუსული ეკიპაჟის მოქმედებებს ნორვეგიელი მფრინავი, რომელმაც ძლივს მოასწრო გვერდზე გასულიყო და არ შეტაკებოდა მეორე თვითმფრინავს.

* * *

სომალიელი ბოევიკები კენიაში თავს დაესხნენ კარიერს და 36 არამუსულმანი მოკლეს

ქვის სამტეხლოზე თავდასხმა დაიწყო განთიადისას, როდესაც მუშებს კარვებში ეძინათ. ისლამისტებმა ცოცხალი დატოვეს მხოლოდ თანამორწმუნეები და დახოცეს ყველა დანარჩენი. რამდენიმე კაცი შეიძლება გატაცებულიც იყოს, ეჭვი აქვს ადგილობრივ პოლიციას. დახოცილთა უმრავლესობა კენიის სამხრეთიდან იყო, სადაც უმეტესობას ქრისტიანი მოსახლეობა შეადგენს.

* * *

სახელმწიფო დეპარტამენტი არ გამორიცხავს სანქციების გამკაცრებას რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ირანთან მისი გარიგებების გამო

მოსკოვი ემზადება, მიაწოდოს ირანს სამრეწველო საქონელი ნავთობის სანაცვლოდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნავენ, რომ თვალყურს ადევნებენ რუსეთ-ირანის თანამშრომლობას, და თუ იგი წინააღმდეგი იქნება ვაშინგტონის მიერ შემოღებული სანქციებისა ირანის წინააღმდეგ, მაშინ „იმოქმედებენ“.

* * *

კიევის ცენტრში დაახლოებით ასმა ოპოზიციონერმა კრეშჩატიკი გადაკეტა

აქტივისტები გამოვიდნენ ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის პიოტრ პოროშენკოს პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც, მათი სიტყვებით, ანტიუკრაინულ ხასიათს ატარებს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს კიევის მთავარ სამმართველოში განაცხადეს, თავდაპირველად დემონსტრანტები წავიდნენ ბანკის ქუჩისკენ, მაგრამ, როდესაც იქ წესრიგის დამცველები დაინახეს, დაბრუნდნენ კრეშჩატიკზე. დაკავებულების შესახებ არ იტყობინებიან.

არ იცი? გასწავლით! არ გინდა? გაიძულებთ!

(მეხუთე გვერდიდან)

მგონი, კალამი გამექცა და დღეს, რუსეთის ქმედებების მიზეზებს უკრაინასა თუ საქართველოში, იქნებ ბოლო 2-3 საუკუნეში მცირე ისტორიული ექსკურსით მივაგნოთ:

მაშინ აშშ, როგორც გლობალური მოთამაშე, არ არსებობდა, რადგან დღევანდელი „დემოკრატების“ წინაპრები ერთის მხრივ აბორიგენი ინდიელების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტით და მეორეს მხრივ აფრიკიდან შავკანიანი მონების ექსპორტით იყვნენ დაკავებულნი და ამიტომ მათი სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ფორმირების პროცესში იყო!

ამიტომ, მაშინდელი მსოფლიო წესრიგის კანონმდებლები აზიაში ოსმალეთის და ირანის, ხოლო ევროპაში: ესპანეთის, საფრანგეთის, პრუსიის, მოგვიანებით ავსტრია-უნგრეთის იმპერიები იყვნენ, რომელთა შორის პირველობას არავის უთმობდა ბრიტანეთის იმპერია!

იქნება ვინმეს პარადოქსად ეჩვენოს, მაგრამ ისევე, როგორც დღეს აშშ-ევროპა, მაშინაც, ზემოთ ჩამოთვლილი დიდი თუ მცირე იმპერიები, ყველანი ერთად და ცალ-ცალკე, რბილად რომ ვთქვათ, ამრეზით უყურებდნენ რუსეთის მართლმადიდებლურ იმპერიას!

ოსმალეთ-სპარსეთი გასაგებია, როგორც მუსლიმები, ემტერებოდნენ ქრისტიანულ რუსეთსაც და ევროპასაც, მაგრამ ევროპა რუსეთს ნეტავი რატომ?

მაშინ ჯერ ხომ არ არსებობდა თანამედროვე დემოკრატიის გაგება და მისი მთავარი სატყუარა პროდუქტი, ყბადაღებული ე.წ. ადამიანის უფლებები, თითქოსდა ვითომ მხოლოდ ამ უფლებების დარღვევის გამო ამუნათებენ რუსეთს დასავლეთის „დემოკრატები“?

სხვა მხრივ ხომ რუსეთიც თითქმის ისეთივე მონარქიული იმპერია იყო, როგორც სხვა დანარჩენი და ამიტომ განსაკუთრებული იდეოლოგიური შეუთავსებლობანი არ უნდა ყოფილიყო მათ შორის?!

აი, ძაღლის თავიც სწორედ მაგ „თითქოსშია“ დამარხული და ამ „თითქოსს“ მართლმადიდებლობა ჰქვია!..

ბოლო სამასი წელიწადი ბებერ, განათლებულ ევროპას არა ერთ გზის დამართვია „კუჭის შეკრულობა“, რის გამოც არა ერთი მონსტრი უშვია, რომელიც ბოლოს ყოველთვის რუსეთისთვის „მიუქსევიათ“ და ამის წამალი ყოველთვის კუთხეში მიმწყვდეული რუსეთის იმპერია ყოფილა!

ასე იშვა ევროპის წიაღში საფრანგეთის პირველი რევოლუცია, რომელმაც თავები წააჭრა მირონცხებულ მეფე-დედოფალს და გილიოტინაზე აიყვანა ასიათასობით უდანაშაულო ფრანგი და ამ ქაოსიდან ასპარეზზე კორსიკელი ყაჩაღი, უზურპატორი, კაციჭამია (და რას აღარ უწოდებდნენ თავად ევროპელები) ნაპოლეონ ბონაპარტე გამოიჭრა, რომელიც ვითომდაც რუსეთის მეგობარი ინგლისის ინტრიგების გამო, რუსეთის იმპერიას მიუსიეს — სადაც დასამარდა კიდეც ბონაპარტის უძლეველი არმია. რაშიც თავ-თავისი წილი, ინფანტერიის გენერალ პეტრე ბაგრატიონთან ერთად, ათობით ქართველმა გენერალ-ოფიცრებმა და ასობით ქართველმა რიგითმა მებრძოლებმაც დაიდეს!

ხოლო, პარიზში შეჭრილმა ოკუპანტმა რუსმა კაზაკმა „ველურებმა“ იმედები გაუცრუეს რუსთა ველურობის პროპაგანდისტებს და გადამწვარი მოსკოვის სანაცვლოდ პარიზიც არ მისცეს ცეცხლს — **მხოლოდ პარიზელ ქალებს დაამახსოვრეს თავი და კიდევ პარიზის სამიკიტნო-ტავერნების მეპატრონეებს, ჯერ ერთი იმით, რომ ოკუპანტი რუსები მუქთად არაფერს ითხოვდნენ და ნაღდი ფულით ქეიფობდნენ და მერე ცნობილი „ბისტრო, ბისტროთი“, რაც გახდა კიდეც თანამედროვე სწრაფი კვების, კაფე-ბისტროების დასაწყისი...**

თითქმის იგივე განმეორდა პირველი მსოფლიო ომის დროს, როდესაც რუსებს ჯერ გამარჯვება „მოპარეს“, მსოფლიო მასონთა, გერმანია, აშშ, ბრიტანეთის დაფინანსებით რუსეთის ზურგში მოწყობილი ჯერ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის, ხოლო შემდეგ ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების გზით, რომანოვების სამეფო დინასტიაც ამოწყვიტეს და შემდეგ მათივე მართლმადიდებლური იმპერიაც დაშალეს!

და ჰოი, საკვირველებავ! ბონაპარტთან დატოვებულმა ქართულმა კვალმა იოსებ სტალინში ჰპოვა გაგრძელება, რომელმაც, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერ ტროცკისტი მასონებისგან გაწმინდა ეს მერამდენედ კუთხეში მიმწყვდეული რუსეთი და შემდეგ ახალი, ბოლშევიკური იმპერიის შენება დაიწყო!

სწორედ ამ დროს, „კუჭში შეკრული“ დასავლეთის „ჭინთვების“ შედეგად იშვა ჯერ ბენიტო მუსოლინის ფაშიზმი იტალიაში და შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი, სასტიკი ვამპირი, სადისტი მკვლელი და მანიაკი ადოლფ ჰიტლერის ფაშისტური გერმანია, რომელიც კვლავ ინგლისის (ამჯერად აშშ-თან ტანდემში) მეცადინეობით ბოლშევიკურ-მართლმადიდებელ რუსეთის საბჭოთა იმპერიას შეესია.

დიახ, ნუ გაგიკვირდებათ — **ბოლშევიკურ-მართლმადიდებელ იმპერიას, რადგანაც მიუხედავად ოციან წლებში „უიდომასონი“ ტროცკისტების მიერ ეკლესია-მონასტრების მასობრივად ნგრევისა თუ ათასობით მღვდლის რეპრესირება-დახვრეტისა, საბჭოთა იმპერიაში მაინც ვერ შესძლეს მართლმადიდებელი სარწმუნოების ამოძირკვა. სტალინმა სამამულო ომის უმძიმეს წლებში დაიწყო ეკლესიების ხელახალი გახსნა, პატრიარქიც აარჩევინა რუსეთის თუ საქართველოს წმინდა სინოდებს. რის შემდეგაც მართლმადიდებელი ეკლესია უყოყმანოდ დაუდგა გვერდში სასულიერო სემინარიის კურსდაუმთავრებელ (!!!) მთავარსარდალს და მართლმადიდებელი ეკლესიის ძალითა და ლოცვა-კურთხევით (ცნობილი ფაქტია, რომ მოსკოვთან ბრძოლებისას, სტალინის ბრძანებით, თვითმფრინავით სამჯერ შემოატარეს ღვთისშობლის ხატი საბჭოეთის დედაქალაქს) შეძლო კაცობრიობის უბოროტესი მტრის საკუთარ ბუნაგში განადგურება!**

ლამის, ჰიტლერის განადგურებისთანავე უგანეს „მოკავშირეებმა“ სტალინს, ხოლო გენერალი-სიმუსის სიკვდილის შემდეგ ცივი ომის სახელით ცნობილმა მორიგმა „ჭინთვებმა“ შეიპყრო „დემოკრატიული“ დასავლეთი და ამჯერად „დემოკრატიის დროშით“ და ე.წ. გავლენის აგენტების — ხრუშჩოვ-გორბაჩოვ-შევარდნაძე-იაკოვლევის ხელშეწყობით, ბოლოს და ბოლოს სსრკ იმპერიაც დაამხეს, მაგრამ რუსეთის იმპერიას მხსნელად XX საუკუნის ბოლოს, ვლადიმერ პუტინი მოუვლინა განგებამ, რომელმაც ეს მერამდენედ დაჩოქებული, კუთხეში მიმწყვდეული რუსეთი ჯერ ფეხზე წამოაყენა და შემდეგ პრეტენზიები განაცხადა პოსტსაბჭოთა სივრცეში დაკარგული გავლენების აღდგენაზე!

რუსეთის პრეზიდენტს რომ „ძალაც შესწევს ქადილისა“ , ეს არის მიზეზი ზოგადად დასავლეთის და კონკრეტულად აშშ-ის მორიგი „კუჭში შეკრულობისა“, მაგრამ ზემოთ მოტანილი ისტორიული ექსკურსებიდან ჩანს, რომ მორიგი „ჭინთვები“ იმას დააკლებენ პუტინის რუსეთს, რაც საბოლოო ჯამში ბონაპარტემ დააკლო ალექსანდრე პირველის რუსეთის იმპერიას და ჰიტლერის ფაშიზმმა სტალინის წითელ იმპერიას. ანუ, პუტინსაც ყურებზე ხახვს ვერ დააჭრიან!

ეს, რომ ასეა და მხოლოდ ჩემი რუსეთის, მისი პრეზიდენტის „სიყვარულიდან“ გამომდინარე სუბიექტური აღქმა არაა, რუსეთის პრეზიდენტის გამონათქვამებიდანაც ჩანს (თუმცა, არც მთლად უმაგისობაა — სიყვარულის რა მოგახსენოთ, სიყვარულით, მხოლოდ საკუთარი სამშობლო შეიძლება გიყვარდეს, მაგრამ იმ ამერიკასა და მის პრეზიდენტს, რომელსაც მთავარ პრიორიტეტად მთელს მსოფლიოში ლგბტ სექტის უფლებების დაცვა მიუჩნევია, ნამდვილად მირჩევნია მართლმადიდებელი და ლგბტ-პედერასტებთან კანონმდებლობით მებრძოლი რუსეთი და მისი პრეზიდენტი).

მაშ ასე, ცოტა სახუმაროდან დავიწყებ: როდესაც იტალიაში დაუსვეს კითხვა რუსეთში ლგბტ საზოგადოების დევნაზე, პუტინმა მოკლედ უპასუხა ჩვენ მხოლოდ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა ავკრძალეთო და იქვე სასამართლოსგან დევნილ სილვიო ბერლუსკონიზე თქვა — **მას იმიტომ სდევნიან, რომ ქალებთან ყოფნა უყვარს. იგი, რომ ჰომოსექსუალი იყოს, ხმაც არავინ ამოიღებდაო!**

ბრავო! — მეტი სიტყვები არა მაქვს...

უფრო სერიოზულად კი გერმანული გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუდან— **თქვენ (ნატოს — დ.მ.) რა გინდათ, რომ ბენდერელმა ფაშისტებმა მთელი დონბასი გაუუჟონ? ეს ჩვენ არ გვინდა და არც ვინმეს მივცემთ ამის ნებას!**

ან უფრო გვიან, ე.წ. ვალდაის სოჭის ფორუმიდან, ციტატა:

„რაც იუპიტერს ეპატიება, ის ხალხს არ ეპატიება. არ იქნება ეს, დათვი ნებართვას არავის სთხოვს, ის ხომ ტაიგის ბატონ-პატრონია!“

და სულ ახლახანს — **„ამბობენ, რომ ამერიკელებს ჩვენი დამცირება უნდათ. ეს არ არის მართალი. მათ ჩვენი დაქვემდებარება უნდათ. რუსეთის დაქვემდებარება კი ბოლო 500 წლის მანძილზე ვერავინ შეძლო და ვერც ამერიკელები შეძლებენ ამას!“**

ახლა სიმბოლოების შესახებ — ამას წინათ კრემლის კედელთან ზარ-ზეიმით გახსნეს რუსი იმპერატორის ალექსანდრე პირველის ძეგლი, რომელსაც „სობირაწელ ზემელ რუსკიხ“-საც ეძახიან. ძეგლი, პუტინმა და რუსეთის პატრიარქმა ერთად გახსნა — **ანუ, რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, ისტორიულად, ერთსულ და ერთხორც არიან!!!**

წინა კვირაში დასრულდა ბრწყინვალედ გადაღებული რუსული სერიალი ეკატერინე დიდის შესახებ. ეს ის ეკატერინეა, რომლის დროსაც რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძული შეიერთა(!) რაც სიმბოლურად იმასაც ნიშნავს, რომ რუსები არაფრის დამთმობები არიან, მაგრამ მე ერთ არანაკლებად მნიშვნელოვან ეპიზოდს მოვიყვან:

ეკატერინემ, რომელმაც „პერევაროტი“ მოუწყო საკუთარ ქმარს, კრეტინ პეტრე მესამეს, რომელიც თავის მხრივ, უფრო კრეტინ პრუსიის იმპერატორ ფრიდრიხზე კარგავდა ჭკუას, რის გამოც აღებული ბერლინიდან გამარჯვებული რუსის ჯარი გამოიყვანა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ლუთერანობაზე გადაყვანაც განიზრახა, მის მოსაკლავად მისულ ეკატერინეს ფავორიტ გრაფ გრიგორი ორლოვს, სიკვდილის წინ უთხრა — მე რუსეთის ევროპულ ქვეყნად ქცევა მინდოდა, რაზედაც გრაფი პასუხობს — რუსეთი ისედაც ევროპაა, უბრალოდ ჩვენ, რუსები ევროპელებს ვეზიზღებით!..

ეს ყველაფერი, იმ ჩვენი ნატოელი რუსოფილების საყურადღებოდაც, რომლებიც უკრაინისთვის ყირიმის „ახევის“ შემდეგაც ვერაფერს ხვდებიან და კვლავ ნატო, ნა-ტო აბოდებთ!

არა, ძალიან კარგადაც იციან და ხვდებიან ყველაფერს, თუმცა, ეს ის შემთხვევაა, ჩვენში რომ იტყვიან — კაი ბაგაზე არიან დაბმულები და პოლიტიკოსები იქნებიან თუ არასამთავრობოები თქვლეფენ სამშობლოს გაყიდვაში აღებულ დოლარებს...

და ბოლოს კიდევ ერთი ციტატა ჩემი საკუთარი წერილიდან, რომელიც „წინასწარმეტყველური“ აღმოჩნდა:

„იმასაც შეგახსენებთ, რომ ე.წ. ევრაზიული კავშირი უკვე შემდგარი ფაქტია, რომელშიც ჩვენი მეზობელი სომხეთიც გაწევრიანდა და მათ ამ კავშირის დომინანტ რუსეთთან პირდაპირი საზღვარი, ანუ, სახმელეთო კომუნიკაცია არ აქვთ, რაც, არა მგონია, დიდხანს გაგრძელდეს...“

აფხაზეთთან დადებული ხელშეკრულება და თან საუბარი სოხუმი-თბილისი-ერევნისა, რკინიგზის აღდგენაზე აფხაზეთის ანექსიას კი არა, იმას ნიშნავს, რომ ევრაზიული კავშირის გლობალურ პროექტს ნატოს მფარველობაში მყოფი საქართველოს „შიშით“, რუსეთი ვერ ჩაშლის!

არ ვიცით? გვასწავლიან! არ გვინდა? რკინიგზის აღდგენას გვაიძულებენ და მერე Абзыраза — აფხაზეთო ჩემო! კარგად იყავი. (აფხ., — **დ.მ.**)

თუმცა, არ მეგონა, რომ სომხეთის მიმართ წინა წერილში გამოთქმული ვარაუდი, ასე მალე დაიწყებდა ახდენას...

„ჭკუით ქართველებო!“

დავით მხეიძე

◎ ალიანჩალიანი

მართვის მოწმობის მსურველებს ვერ აუდიან

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობის აღების მსურველთა დიდი ნაკადის გამო, საგამოცდო განაცხადის მიღების ვადას საათნახევრით ამცირებს.

მომსახურების სააგენტო განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ მართვის მოწმობის მსურველთა დიდი ნაკადი თეორიულ გამოცდაში დაგეგმილმა ცვლილებებმა გამოიწვია.

„გაცნობებთ, რომ 10 დეკემბრამდე მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდაზე განაცხადების მიღება, ნაცვლად 16:30 საათისა იწარმოებს 15:00 სთ-მდე, რათა თითოეულმა მსურველმა შეფერხების გარეშე შეძლოს პრაქტიკულ გამოცდაზე გასვლა“, — აცხადებენ მომსახურების სააგენტოში.

2014 წლის 15 დეკემბრიდან შსს-ს მომსახურების სააგენტოში მძღოლობის კანდიდატები მართვის მოწმობის გამოცდას ახალი 33 ბილეთებით ჩააბარებენ.

„გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ რომ ბილეთები გართულებულია, სიმართლეს არ შეესაბამება. რადგან ახალ ბილეთებში დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალური მხარე. გამოყენებულია სიტუაციის აღმწერი ვიდეორგოლები, რის საშუალებითაც მართვის მოწმობის მსურველს სიტუაციის უკეთესად აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. ბილეთებში აღქმის გასაიოლებლად გამოყენებულია საქართველოს ავტომაგისტრალების, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ქუჩების ფოტო-ვიდეო მასალა. ამასთან, ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან დანახვა“, — აცხადებენ მომსახურების სააგენტოში.

ინტერპრესი

◎ რევანში

სამი მმართველი – 26 დეკემბრამდე

უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავკაცმა ლუკა კურტანიძემ უფლებამოსილება შეიჩერა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად ედიშერ მაჩაიძე დაასახელა, მაგრამ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმმა ყველა მისი წინადადება უარყო, მათ შორის რიგგარეშე ყრილობის 26 თებერვლამდე გადატანა. სხდომის მონაწილე 33 წევრიდან 29-მ კურტანიძის გადაყენებას დაუჭირა მხარი, ხოლო 26 დეკემბრამდე ფედერაციის ხელმძღვანელობა სამკაციან საბჭოს დაევალა. მის შემადგენლობაში სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე რომან რურუა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი გელაშვილი და გენერალური მდივანი გიორგი ლომიძე შეიყვანეს.

პრეზიდიუმის სხდომისას ფედერაციასთან თავმოყრილი მოჭიდაველეების გულისწყრომა გამოიწვია პარლამენტარ სოსო ჯაჭვლიანის სიტყვებმა. როცა იგი ფალავანთა ზნეობას შეეხო, ერთბაშად იხუვლეს შეკრებილებმა და მის მიმართ უწმაწური სიტყვებიც არ დაიშურეს. დაძაბული სიტუაცია სხდომის მონაწილეებმა განმუხტეს. პრეზიდიუმმა კურტანიძის მიერ 22 სექტემბრიდან გამოცემული ყველა ბრძანება გააუქმა, ამიტომაც ეროვნული ნაკრების მწვრთნელეობის პოსტებზე აღადგინეს ოლიმპიური ჩემპიონი **რევაზ მინდორაშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა) და **ბეგი დარჩია** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) მაშინდელი სამწვრთნელო შტაბებითურთ. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი დოლაბერიძემ დაადასტურა, რომ საპროტესტო აქციებში ჩართულ სპორტსმენებს უკვე აღუდგინეს ხელფასები, მწვრთნელების საკითხი კი ჯერ ისევ ირკვევა. რაც შეეხება არჩევნებს, მას სამუშაო ჯგუფი მოამზადებს. კენჭისყრაში მონაწილეობა ლუკა კურტანიძესაც შეუძლია. ამ ეტაპზე კი ორი კანდიდატი იკვეთება: ოლიმპიური ჩემპიონები – **რომან რურუა** და **მანუჩარ კვირკველია**. პრეზიდენტობის მსურველებს ნების გამოხატვა 20 დეკემბრამდე შეუძლიათ.



ლექსო ციცაძე

◎ ფეხბურთი

ცხადაძე ნაკრებში სამუშაოდ მზადაა

ბაძოს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე მზადაა, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უახლოეს ორ შეხვედრაში უსელფასოდ გაუძღვეს.

აღნიშნული ინფორმაცია ცხადაძემ დაადასტურა და „კურიერთან“ საუბრისას განაცხადა, რომ მზადაა, „ჯვაროსნები“ მარტში გამასართ შეხვედრებში სრულიად უსასყიდლოდ დამოძღვროს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები მარტში მალტასა (ამხანაგური მატჩი) და გერმანიას (ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი) ეთამაშება.

46 წლის სპეციალისტი ბაქოს „ინტერში“ 2009 წლიდან მუშაობს.

კობა კობახიძე

◎ რჩეულნი

ფიფამ წლის საუკეთესო გოლის სამი ნომინანტი დაასახელა

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ფიფამ ფერენც პუშკაშის სახელობის წლის ყველაზე ლამაზი გოლის სამი მაძიებელი დაასახელა. 2014 წლის საუკეთესო გოლის ტიტულისთვის ირლანდიელი ქალბატონი სტეფენ როუჩი („პეიმოუნთ იუნაიტედი“), კოლუმბიელი ხამეს როდრიგესი (მადრიდის „რეალი“) და ჰოლანდიელი რობინ ვან პერსი („მანჩესტერ იუნაიტედი“) იბრძოლებენ.

ირლანდიელმა სუსტი სქესის წარმომადგენელმა შესანიშნავი გოლი გაუტანა „უექსფორდის“ ახალგაზრდულ გუნდს. ხამეს როდრიგესისა და რობინ ვან პერსის მუნდიალზე გატანილი გოლები კი, შესაბამისად, ურუგვაის და ესპანეთის წინააღმდეგ ყველას კარგად გეხსომებათ.

ფიფა საუკეთესო გოლის ავტორს 2015 წლის 12 იანვარს ციურიხში გასამართ გალა დაჯილდოებაზე დაასახელებს.

გიორგი ზოთაძე

◎ თარიღი

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო ყრილობა 15 დეკემბერს გაიმართება

კალათბურთის ეროვნული ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის 2014 წლის საანგარიშო ყრილობა გაიმართება 15 დეკემბერს, 13 საათზე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში. ყრილობას გამგეობის წევრები და დელეგატები დაესწრებიან.

გეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

ფაცაციას პირველი სასტარტო

ლევან ფაცაციას „ნიჟნი ნოვგოროდმა“ ვთბ-ლიგაში ზედიზედ მე-8 გამარჯვება იზეიმა და აღნიშნულში თავისი წვლილი ქართველმა კალათბურთელმაც შეიტანა.

რუსულმა კლუბმა ფინურ „ბიზონსს“ უმასპინძლა და 79:65 სძლია, ფაცაციამ კი ნოვგოროდელთა რიგებში გადასვლის შემდეგ სასტარტო შემადგენლობაში პირველად ითამაშა.

ლევანმა მოედანზე 18 წუთი გაატარა და 3 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა. საქართველოს ნაკრების წევრმა ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 3 პერსონალური ფოული მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

ისიც ვთქვათ, რომ ფაცაციას მოედანზე ყოფნის პერიოდში მისმა გუნდმა 14 ქულით მეტი ჩააგდო.

თამაშის გმირი ნოვგოროდელთა ბელარუსი ლეგიონერი არტიომ პარახუსკი გახდა 26 ქულით, 9 მოხსნით და 3 დაფარებით.

„ნიჟნი ნოვგოროდი“ ვთბ-ლიგის ერთპიროვნული ლიდერია, მომდევნო მატჩს კი 7 დეკემბერს ბელარუსულ „ცმოკი-მინსკთან“ ჩაატარებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

აქა ამბავი ლარისასი

ძალი იგი ძუძუთმპყრობელი და ქალი იგი გავაგანიერი, რომელსაც სახელად უხმობენ ლარისას და გვარი მისი არს რიკელმე, მკვიდრი მიწისა პარაგვაისა და სახე და ილაჯი მობურთალთა პარაგვაის ქვეყნისა, დღესა ერთსა წარვიდა ქუეყანასა ვერცხლისაისა და ქმნა უცნაურობანი მრავალნი.

ლარისამან, რომელიც ჩავიდა მთავარსა ქალაქსა ვერცხლისქვეყნისასა, რომელსაც სახელად ეტყვიან ბუენოს აირეს, დასდგა ფეხნი მისნი ლაზათიანნი ფიცრებზედ, პოდიუმად სახელდებულზედ და შემდგომად ამისა განიძრო საწმერთული თვისი და განაცვიფრა ყოველნი, რომელთაც იხილეს მკერდი მისი მრავლისდამტევი და სხვანი ადგილნიცა მრავალნი.

მოკალმემან არგენტინისამან და მეგაზეთემან ბევრმან იწყეს ოხვრა და გმინვა, ოდეს ხელთ იპყრეს კალამნი დასაწერად ლარისას ამბებისა ესე. ხოლო კაცმან მრავალმან, რომელთაც იხილეს ინტერნეტსა შინა ლარისას დიადი მკერდი, შესძახეს ერთხმად: „ო, დიადო მკერდო ლარისასაო, ხილვამან შენმამ მოგვგვარა სიამეი და შიში. შიში ესე არს მოძღვნილი ცოლთა ჩვენთა, რომელთაც ეჭვ ჰყვეს ყოველსავე ამაზე“.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ავტოსპორტი

კარლოს საინს უმცროსი „ტორო როსოში“

„ტორო როსოც“ დაკომპლექტდა. ჯერ კიდევ ორი დღის წინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ იტალიური გუნდი მეორე პილოტად კარლოს საინს უმცროსს აირჩევდა, რადგან „რედ ბულის“ ფარმ გუნდმა ჟან-ერიკ ვერნს კარისკენ ოფიციალურად მიუთითა. გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჰოლანდიელ თინეიჯერ მაქს ფერსტაპენთან ერთად მომავალ სეზონში გუნდის ბოლიდით კიდევ ერთი თინეიჯერი – ესპანელი საინსი იასპარეზებს.

რალიში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის კარლოს საინსის შვილმა ამ სეზონში ფორმულა რენო 3.5-ის ტიტული მოიპოვა. ის 2012 წლიდან „რედ ბულის“ ახალგაზრდული პროგრამის წევრია და მას ფ1-ში გადასვლას შარშანვე უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა, მაშინ „ტორო როსომ“ რუსი დანილ კვიატი არჩია, რომელიც მომავალ სეზონში უკვე უფროსი „რედ ბულის“ მანქანით იასპარეზებს. მაშინ საინსებს არც უაქტიურიათ – პატარა კარლოსმა მისი ასაკისთვის გასაკვირი სიმშვიდე გამოავლინა და განაცხადა, რომ ფ1-ში ნაადრევად დებიუტს ფორმულა რენო 3.5-ში გამოცდილების დაგროვება ურჩევნია.

„ჯერ კიდევ მაშინ, როცა „რედ ბულის“ ახალგაზრდული პროგრამის წევრი გავხდი, ფორმულა ერთში გადასვლა ჩემი მიზანი იყო და მინდა, „რედ ბულს“ მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ ასეთი ნდობა გამომიცხადა“, – განაცხადა საინსმა, რომელმაც ახლახანს აბუ დაბიში „რედ ბულის“ ტესტებში მიიღო მონაწილეობა. ამის საშუალება მას „რენომ“ მიანიჭა, როგორც ფორმულა რენო 3.5-ის ჩემპიონს.

„შარშან „ტორო როსოსთან“ ერთად ტესტებში მივიღე მონაწილეობა და გუნდში არსებული ატმოსფერო ძალიან მომეწონა. სეზონისთვის მზადებისას თავს არ დავზოგავ იმისათვის, რომ გუნდის იმედები გავამართლო. ძალიან მიხარია, რომ ფ1-ში პირველი ოფიციალური დებიუტი ჩემს ქვეყანაში მექნება“, – დასძენს საინსი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ შევამჩნიეთ, ვასწორებთ!

ქართულ ჟურნალისტიკას საფრთხე არ ემუქრება!

რედაქციაში მოსულს სადარბაზოდანვე შემომესმა ჩვენი ულამაზესი გლავბუღის, ქალბატონი ლუსიას ვიშვიში — ბოლოს და ბოლოს გამაგებინეთ, რა ოხრობა მოიტეხა იმ ბენიტომ, დილაადრიან რომ ამიკლეს რეკვითო.

სანამ შეშინებული სახის გრიმასებს დავალაგებდი და რედაქციის კარს შევაღებდი, გამახსენდა ჩვენი გაზეთის შაბათის ნომერში ცნობილმა ჟურნალისტმა, ღადოლოგიის დოქტორმა, მელაანის, ჭიკაანისა და ჯუგაანის საერო აკადემიების ნამდვილმა წევრმა, მესტია-ხაიშის გადასახვევის საპატიო მოქალაქემ ოტია ჩართოლანმა რომ გამოაქვეყნა წერილი **„ბენიტო მანქანას დაეჯახა?!“**, რომელიც მსოფლიო ზორბებში ყველაზე ცნობილ ჟურნალისტსა და ჟურნალისტებში ყველაზე ზორბა ბენიტოს მინიტრაგედიას ეხებოდა.

ბენიტოს მრავალრიცხოვან თაყვანისმცემლებს მართლაც აინტერესებდათ, მათმა კერპმა მარჯვენა ხელი მოიტეხა და ამით დაიობლა ქართული ჟურნალისტიკა, თუ მარცხენა ხელი. აფორიაქებული გლავბუღი დავამშვიდე — ბენიტომ მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი მოიტეხა და არა მარჯვენა ხელი და მარცხენა ფეხი, როგორც ცნობილ ღადოლოგს უწერია-მეთქი.

— ჰოდა, მიეცი გაზეთში გასწორება, თორემ ადულდა ტელეფონი! — მომაძახა ქალბატონმა ლუსიამ.

ასე რომ, ძვირფასო მკითხველო და ბენიტოს თაყვანისმცემლებო დაგიკონკრეტებთ — ბენიტომ მოიტეხა მარცხენა ხელი და მარჯვენა ფეხი და არა კისერი და კინჩხი, როგორც მის მტრებს სურთ. იმასაც მოგახსენებთ, რომ როგორც „მაღლაკპრესიდან“ გვატყობინებენ, უკვე ყავარჯნითაც შეუძლია გადაადგილება. ასე რომ, ქართულ ჟურნალისტიკას საფრთხე არ ემუქრება!

პატივისცემით, გაზეთის მხატვარ-მოდელიორი
მახო, იგივე მამუჩა.

ბენიტო მანქანას დაეჯახა?!

ქუჩელებაც რომ ალბათ მეხსიერებთან? ჰოდა, გადავწყვიტე, ძვირფასებო, გაგიმხილოთ ტრაგედია, რომელიც ამ ორიოდე კვირის წინათ მოხდა და რომელმაც თქვენი საყვარელი ჟურნალისტის ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დააყენა. შეიძლება არც დაიჯეროთ, მაგრამ იმ მარცხიან დილას, ლოგინიდან ახლად წამომდგარ ბენიტოს (მეტსახელად ზორბეგას), რომელსაც თვალების ფშვნეტით გაზეთ „ექსპორტ-იმპორტის“ რედაქციაში, სადაც ის უცხოეთთან ინტეგრირების განყოფილებას უძღვება, მიეჭარბოდა, დღისით-მზისით ვიღაც ახვარი მსუბუქი ავტომობილით დეტაკა და ამაგდარი შემოქმედი მძიმედ დაუზიანა.

წევს ახლა საწოლს მიჯაჭვული, ქვეყანაში სამართლიანობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ბენიტო ბატონი და მძიმედ განიცდის არა იმდენად საკუთარ მარცხს (მოტეხილი აქვს საგაზეთო შედევრების მთხზველი მარჯვენა ხელი და ნიადაგ რეპორტაჟებზე მარბენალი მარცხენა ფეხი), რამდენადაც ევროსივრცედან მისი გამოთიშვით ქვეყნისათვის მოსალოდნელ წარუმატებლობას. ერთადერთ მანუგეშებლად დამტვრეულ ჟურნალისტს ისლა დარჩენია, რომ საკუთარ ბინაზე, სადაც ის მკურნალობის კურსს გადის, ყოველდღიურად უამრავი კოლეგა და მეგობარი აკითხავს. ახლაც, კოლეგის სანახავად მისულს, მის სასთუმალთან შემოკრებილი დამხვდნენ „ექსპორტ-იმპორტის“ ცნობილი ქუჩკორი (ქუჩის კორესპონდენტი) ვალერა ეფიმოვსკი, მოინტერესდა, ჟურნალისტი რა ბედი ეწია, ანუ ბენიტოს ბედ-იღბალი ასეთ ტრაგიკულ ვითარებაში ასეთ ტრაგედიად ქცეულ ამ ორიოდე კვირის წინ ასეთ ტრაგედიად ქცეულ ამ ორიოდე კვირის წინ ასეთ ტრაგედიად ქცეულ ამ ორიოდე კვირის წინ ასეთ ტრაგედიად ქცეულ ამ ორიოდე კვირის წინ ასეთ ტრაგედიად ქცეულ ამ ორიოდე კვირის წინ ასეთ ტრაგედიად ქცეულ ამ ორიოდე კვირის

— ეს ალბათ ბენიტოს ბედ-იღბალ ასეთ ტრაგიკულ ვითარებაში ასეთ ტრაგედიად ქცეულ ამ ორიოდე კვირის წინ ასეთ ტრაგედიად ქცეულ ამ ორიოდე კვირის

— ეს ალბათ ბენიტოს ბედ-იღბალ ასეთ ტრაგიკულ ვითარებაში

◎ შიდსთან ბრძოლის დღე

სიცოცხლე მომავალშიც რომ ზეობდეს

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, 1 დეკემბერი ყველა ქვეყანაში „XX საუკუნის ჭირად“ წოდებული საშინელი დაავადების, შეძენილი იმუნოდეფიციტის — შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, მით უმეტეს მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვის მხრივ ამ მეტად მნიშვნელოვან დღეს, ბუნებრივია, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ასევე სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულება და არასამთავრობო ორგანიზაცია მრავალი პროფილაქტიკური და საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებით გამოეხმაურა.

შიდსზე უფასო შემოწმებები გამართეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (რუსთაველსა და თავისუფლების მეტროს სადგურებთან, დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებთან, სხვაგან) მოძრავმა სამედიცინო ლაბორატორიებმა, მოსახლეობაში გავრცელდა შიდსის შესახებ საგანმანათლებლო ლიტერატურა — ბუკლეტები, პლაკატები, სააგიტაციო ფურცლები, ასევე კონტრაცეფციის საშუალებები.

მეტად საგანგაშოა, რომ საქართველოში სადღეისოდ 5 ათას კაცზე მეტია შიდსით დაავადებული, რომელთაგან მძიმე ავადმყოფებს უფასო მკურნალობა უტარდებათ.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ ინფორმაცია

მთვრალმა ხულიგანმა სროლა ატეხა

შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი კ. ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა გიორგი კ-მ, თემურ კ-მ და ამირან კ-მ ჩოხატაურის რაიონში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ოლეგ რ-ს და მის მეზობელ ლაშა შ-ს, რომელიც იმ დროს მის სახლში იმყოფებოდა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. შემდეგ გიორგი კ-მ სანადირო თოფიდან ოლეგ რ-ს სახლის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

ოლეგ რ-ს მეუღლემ - ნანა შ-მ მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა. სამართალდამცველებმა გიორგი კ. შემთხვევის ადგილზე დააკავეს, ხოლო თემური კ-მ და ამირან კ-მ მიმალვა მოახერხეს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **ჭიჭიკია** იმფერი გოუნათლებელია, ეგ შობელ-ძაღლი, რაც მაგას წიგნი არ წაუკითხავს, რო დეითვალოს კაცმა, სამი საჯარო ბიბლიოთეკა გამოვა!

* * *

— **რა** ვქნა, რა წყალში გადავვარდე აღარ ვიცი!
— რა მოგივიდა ასეთი, შე საწყალო?
— ლოთობისთვის გამომაგდეს.
— ეგ რაა, შე კაცო, ლოთობისთვის ახლა ყველას აგდებენ.
— გამოსაფხიზლებლიდანაც, ადამიანო?!

* * *

— **ჭიჭიკია**, იცი, ბიჭო, გერმანიაში ასფალტს საპნით რეცხავენ!
— რავა ჩოუსვრიათ ქვეყანა, მაგ შეჩვენებულებს, ფუი!

* * *

ექიმი ეუბნება ასისტენტს:
— სადღესასწაულო დღეები მოდის, პაციენტები უნდა მოვინახულო.
— სასაფლაოზე აპირებთ წასვლას, პატივცემულო?

* * *

ახალგამდიდრებული რუსის ოჯახობა ტბაზე ისვენებს, ბანაობენ, ირუჯებიან. გვერდით კაცი ზის, თევზაობს და უცბად ახალი რუსის ყვირილი ისმის:

— მიშველეთ! ცოლი მეხრჩობა, მე კი ცურვა არ ვიცი! მიდი რა, ძმაო, უშველე ჩემ ქალს, 1000 დოლარს მოგცემ!

კაცი ხტება წყალში და ქალი ნაპირზე ამოყავს.
— სადაა ჩემი ათასი დოლარი?
— რა არის იცი, ძმაო, ისე უაზროდ იქნევდა ეს ქალი ხელებს წყალში, მე ჩემი ცოლი მეგონა, არადა სიდედრი ყოფილა, მაგის დედა ვატირე!..
— აუჰ, შე საწყალო! რამდენი უნდა გადაგიხადო?

* * *

გამოკვლევებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის მოხმარება მამაკაცებში პოტენციის დაქვეითებას კი იწვევს, სამაგიეროდ დიდად ზრდის სქესობრივი კონტაქტების რიცხვს.

* * *

— **მატყუარა** ხარ, ჭიჭიკია, მატყუარა! სიტყვა მომეცი, ჩემი გახდი და ცოლად მოგიყანო, და არ შეასრულე.
— კაი, რა, ნუ ტირი... გინდა, სხვა სიტყვას მოგცემ?..

* * *

— **ექიმო**, მიშველე, შენი ჭირიმე, მიშველე!.. ძალიან შეშინებული ვარ, ასე მგონია, ვგიჟდები!..
— კი, მაგრამ რა ხდება, რაშია საქმე?
— საქმე იმაშია, რომ აი, უკვე რამდენიმე დღეა სულ მეჩვენება, რომ იმას, რასაც ცოლი მეუბნება, თითქოს რაღაც აზრი აქვს!..

* * *

— **ექიმო** არასრულფასოვნების კომპლექსი მაქვს!
დათვალიერების შემდეგ ექიმი ეუბნება პაციენტს:
— დამშვიდდით, არავითარი კომპლექსი არა გაქვთ, თქვენ მართლა არასრულფასოვანი ხართ!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24